პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 200 (9976) | სამშაბათი, 24 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა მასწავლებლის პატრიოტული მოვალეობა. — **„პრავდის“ 23-VIII მოწინავე** (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — **მ. ვარდოსანიძე.** — **რიგითი** პირველადი ორგანიზაცია (მე-2 გვერდი).

კ. ხიხარულიძე, ე. ხარებავა. — როცა ჩამორჩენის ობიექტური მიზეზებით ხსნიან (მე-2 გვერდი).

საგაზეთო თემაზე. — **მეგობრობის ძალა** (მე-2 გვერდი).

ა. პატარაია. — რატომ ურიგდებიან ჩამორჩენას ჩაის კრეფაში? (მე-3 გვერდი).

მ. შეინმანი. — ვატიკანი იმპერიალიზმის სამსახურში (მე-3 და მე-4 გვერდი).

მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, მიღებული [illegible] საზეიმო სხდომაზე ბუქარესტში (მე-3 გვერდი).

რუმინეთის განთავისუფლების მეათე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ბუქარესტში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა მასწავლებლის პატრიოტული მოვალეობა

უახლოეს დღეებში მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიმართება მასწავლებელთა აგვისტოს თათბირები. გასული სასწავლო წლის შედეგების ანალიზის საფუძველზე ისინი განიხილავენ სკოლების სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლების ღონისძიებებს.

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს მასწავლებლის კეთილშობილურ შრომას. იგი მასწავლებელს ანდობს ყველაზე მნიშვნელოვანსა და ძვირფასს — კომუნიზმის მომავალ აქტიურ მშენებელთა მოზარდი თაობის აღზრდას. საბჭოთა სახელმწიფო ქმნის იმის ყველა პირობას, რომ სახალხო მასწავლებელს შეეძლოს პირნათლად შეასრულოს ეს საპატიო ამოცანა.

და ჩვენი მასწავლებელთა მასა მთელ ძალებს ახმარს მოსწავლეთა აღზრდის საქმეს, თავდადებით მუშაობს, რათა სოციალიზმის ქვეყნის აბალგაზრდობა იზრდებოდეს კულტურული, განათლებული, სამშობლოს, ხალხის, კომუნისტური პარტიის დიადი საქმის განუხრელად ერთგული.

საბჭოთა სკოლის წინაშე ისახება ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებიც მოითხოვენ მისი სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის შემდგომ ამაღლებას. ჩვენი სკოლა უნდა გახდეს ნამდვილად პოლიტექნიკური, თავის მოწაფეებს მისცეს მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე, სისტემატური ცოდნა და ამასთან ერთად გააცნოს მათ თანამედროვე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლები, შეაიარაღოს შრომითი ჩვევებით, რაც საჭიროა მათი მომავალი პრაქტიკული საქმიანობისათვის.

ასრულებენ რა ამ ამოცანებს, სკოლები 1954-55 სასწავლო წელს იწყებენ ახალ სასწავლო გეგმაზე, ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელებზე გადასვლას, რომლებიც ითვალისწინებენ სკოლის უფრო მჭიდრო კავშირს ცხოვრებასთან, მიღებული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში, პოლიტექნიკური სწავლების დანერგვის უფრო ფართო ღონისძიებებს.

ამ საქმის წარმატება, მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის ხარისხის შემდგომი ამაღლება დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა მასწავლებელზე. აგვისტოს თათბირებზე ფართოდ უნდა იქნას განხილული ახალ სასწავლო გეგმასა და ახალ პროგრამებზე სკოლების გადასვლის, სწავლების გაუმჯობესებისა და თვითეულ საგანში წარმატების გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი. ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დედაენის, მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის სწავლების შემდგომ გაუმჯობესებას. ნაკლოვანებათა გადალახვა კრიტიკა, მოწინავე გამოცდილების ფართო გაზიარება დახმარებას გაუწევენ თათბირების მონაწილეებს დასახონ ამ ამოცანების გადაჭრის გზები.

„საჭიროა, რომ თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — იყოს მისთვის კომუნისტური მორალის დანერგვა“. ვლადიმერ ილიას-ძის ეს მითითება ფუძედმდებელია საბჭოთა მასწავლებლის მთელი მოღვაწეობისათვის. აგვისტოს თათბირებზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლებას, მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცებას. საბჭოთა სკოლის მთელმა სასწავლო და აღმზრდელობითმა მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდობისათვის მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, იგი უნდა იყოს ყოველგვარი ცრუმორწმუნეობისა და ცრუ აზრის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი საშუალება.

ჩვენში ცოტა როდია ისეთი სკოლები, სადაც უნარიანად და მოფიქრებულად არის დაყენებული ბავშვებისათვის მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, სახუნებისმეტყველო-მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის მუშაობა. ამისი მაგალითი შეიძლება იყოს იაროსლავლის № 57 საშუალო სკოლა, მოსკოვის № 345 საშუალო სკოლა და ბევრი სხვა. აქ ამ მუშაობაში ჩაბმულია მთელი პედაგოგიური კოლექტივი. ამავე დროს ბევრ, განსაკუთრებით სოფლის, სკოლაში მასწავლებელი სულაც არ ეწევიან სახუნებისმეტყველო-მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას, ურიგდებიან იმას, რომ ზოგიერთი სკოლა სხვადასხვაგვარი ცრუმორწმუნეობისა და ცრუ აზრის გავლენაშია. მაგალითად, ახალი ფატები კურსკის ოლქის კახტელცევსკისა და უსპენსკის სკოლებში.

კომუნისტური მორალის დანერგვა წარმოუდგენელია, თუ არ განმტკიცდა მოსწავლეთა დისციპლინა. საბჭოთა პედაგოგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა თანმიმდევრულად და მტკიცედ ჩაუნერგოს ბავშვებს ყოფაქცევის მაღალი კულტურა, მიაჩვიოს ისინი ზრდილობას, ჩაუნერგოს შეგნებული დისციპლინა.

მოსწავლეთა ორგანიზებულობა შეიძლება გამომუშავებულ იქნას უწინარეს ყოვლისა გაკვეთილებზე, და აქ ძლიერ ბევრი რამ არის დამოკიდებული მასწავლებლის ოსტატობაზე. იმ პედაგოგის გაკვეთილებზე, რომელიც მეცადინეობას უმარიანად და საინტერესოდ ეწევა, ბავშვებს მომთხოვნელობით და ამავე დროს გულისხმიერად ეპყრობა, მოსწავლეები ყურადღებით და დინჯად არიან. ხოლო თუ მასწავლებელი მეცადინეობას მოსაწყენად და ერთფეროვნად ეწევა, ბავშვებს ან მეტისმეტად მკაცრად, ანდა, პირიქით, ლიბერალურად ეპყრობა, ისინი ხშირად არღვევენ დისციპლინას.

მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის ამოცანები საბჭოთა სკოლას შეუძლია წარმატებით გადაჭრას მხოლოდ მაშინ, თუ შექმნის მოსწავლეთა ნტკაცე, ჯანსაღ კოლექტივს. ამ კოლექტივის საფუძველია კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები, რომლებიც თითქმის ყველა მოსწავლეს აერთიანებენ. პედაგოგები მოვალენი არიან დაეხმარონ კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს თავიანთი მუშაობა ააგონ ბავშვთა მოთხოვნილებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, განუვითარონ მათ შემოქმედებითი ინიციატივა და ურთიერთდახმარება სწავლასა და შრომაში. ამაში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ლვოვის № 6 სკოლის, კრასნოდარის მხარის რკინიგზის № 56 სკოლისა და ბევრი სხვა სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივებმა. აგვისტოს თათბირებზე უნდა მოხდეს მოსწავლეთა მტკიცე კოლექტივების შექმნის, პედაგოგების მიერ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისათვის ეფექტიანი დახმარების გაწევის გამოცდილების გაზიარება.

მასწავლებელთა თათბირებზე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეებისათვის შრომის სიყვარულისა და პატივისცემის ჩანერგვის საკითხებს. სწორად მოწყობილი ბავშვთა შრომითი საქმიანობა კომუნისტური ზნეობის აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა. ამას, კერძოდ, მოწმობს ლენინგრადისა და გორკის ოლქების მთელი რიგი სოფლის სკოლების გამოცდილება, სადაც პედაგოგიური კოლექტივები მოსწავლეებს უნერგავენ სასოფლო-სამეურნეო შრომის სიყვარულს. თუ რა ბევრ სასარგებლო რამეს აძლევს მოსწავლეებს მათი ჩაბმა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, ამას მშვენივრად ცხადყოფს ნორჩ ნატურალისტთა პავლიონი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, სადაც ნაჩვენებია ნორჩი ნატურალისტების ეშმარიტად შესანიშნავი ნამუშევარი.

მოსწავლეთა სწორი აღზრდის აუცილებელი პირობაა სკოლისა და ოჯახის ღონისძიებათა გაერთიანება. სამწუხაროდ, ზოგიერთი პედაგოგი და მშობელი ვერ პოულობს საერთო ენას, მოქმედებენ დაქსაქსულად, შეუთანხმებლად, რაც ცუდ გავლენას ახდენს ბავშვთა აღზრდაზე. არიან მშობლები, რომლებიც სათანადოდ არ ეხმაურებიან მასწავლებელთა შენიშვნებს მათი შვილების შესახებ, სჩვეიათ გაამართლონ თავიანთი შვილის ხიზარმაცე და უდისციპლინობა და იმის ნებასაც კი აძლევენ თავს, რომ მოსწავლის თვალწინ უსაფუძვლოდ „აკრიტიკონ პედაგოგის მოქმედება. ეს შეუწყარებელია და სერიოზულ ზიანს აყენებს სკოლის ავტორიტეტს, აღზრდის დიდ და მნიშვნელოვან საქმეს. თავის მხრივ მასწავლებელიც უფრო გულისხმიერად უნდა უყდებდეს ყურს იმ დედებისა და მამების რჩევას, რომლებიც პირდაპირ არიან დაინტერესებული სკოლის მუშაობის გაუმჯობესებით. საჭიროა შეუპოვრად და მტკიცედ ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ უფრო მჭიდრო კონტაქტი დამყარდეს სკოლასა და ოჯახს შორის.

ბავშვთა კომუნისტურ აღზრდაში სკოლებს მუდმივ დახმარებას უნდა უწევდნენ შეფი საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ებისა და დაწესებულებათა კოლექტივები. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც თავის მოვალეობად მიაჩნია ხელი შეუწყოს მხოლოდ სკოლების შენობების, ინვენტარის შეკეთებას, სათბობით უზრუნველყოფას. ამავე დროს დიდი ხანია დადგა დრო, რომ მათ მოვთხოვოთ აქტიურად შეუწყონ ხელი სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაზე: მონაწილეობა მიიღონ მშობელთა კომიტეტების საქმიანობაში, წარმოებაში ექსკურსიების მოწყობაში, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან მოსწავლეთა შეხვედრების მოწყობაში, გამოყონ ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო წრეების ხელმძღვანელები. შეფ საწარმო-დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების, აგრეთვე მშობელთა კომიტეტების წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებში.

კომკავშირული ორგანოები მოვალენი არიან ყოველდღიურად აინტერესებდეთ სკოლის ცხოვრება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მისალმებაში საკავშირო ალკ XII ყრილობისადმი აღნიშნა, რომ კომკავშირი დაუცხრომლად უნდა ზრდიდეს საბჭოთა ახალგაზრდობას სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის და კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების სულისკვეთებით, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით, უნერგავდეს ახალგაზრდობას საბჭოთა ადამიანების საუკეთესო თვისებებს — შრომის სიყვარულს, მხნეობას, უშიშრობას, ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენას, იმისათვის მზადყოფნას, რომ დაძლიოს ყოველგვარი სიძნელე და დაბრკოლება.

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდა პარტიული ორგანიზაციების ღვიძილი საქმეა. პარტიულმა კომიტეტებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მასწავლებელთა თათბირების მუშაობაში, ხელი შეუწყონ იმას, რომ თათბირებმა ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფეროში ჩაიაროს, რომ ისინი საუკეთესო სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილების შემოქმედებითი გაცვლის ნამდვილი ტრიბუნა გახდნენ.

„პრავდის“ 23-VIII მოწინავე.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ტ. ს. გორბუნოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ტ. ს. გორბუნოვის დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და მისი აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის აღსანიშნავად ამხ. ტიმოთე საზონის-ძე **გორბუნოვი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 21 აგვისტო.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★

ტყვარჩელი. ახიბლარას წვერზე დიდი წარმატებით მუშაობს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეოთხე შახტის კოლექტივი, რომელიც წელს სისტემატური გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. **სურათზე:** მოწინავე ახიბლარელი მეშახტეები მეექსკავატორე პ. პონომარენკო და ბრიგადირი ი. ზაქარეიშვილი.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

თბილისი. ლოკომოტივშემკეთებელი ქარხანა. **სურათზე:** ტექნიკური კონტროლის განყოფილების ინჟინერი ნ. გოგნიაშვილი (მარცხნივ) და ტექნიკოსი ა. ალანია ამოწმებენ გამზადებულ გოგორწყვილებს.

ფოტო ვ. ზარიძისა.

მეშახტის დღის აღსანიშნავად

ეს დღეები ჭყიბულში

ტყიბული. (საკ. კორ.). ეს დღეები ტყიბულის შახტებში დიდი აღმავლობით აღინიშნება. საუკეთესო მაჩვენებლები აქვს ლენინის სახელობის შახტის კოლექტივს. ამ შახტს ივნისის მაჩვენებლის მიხედვით სსრ კავშირის ქვანახშირის სამინისტროს და პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ მესამე პრემია მიანიჭეს. ივლისში კი შახტმა საქართველოს კომპარტიის ტყიბულის რაიკომისა და ტყიბულქვანახშირის ტრესტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. განვლილ 7 თვეში ლენინის სახელობის შახტში გეგმის გადამეტებით საგრძნობი რაოდენობით ამოღებულია ქვანახშირი, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გადიდებულია 6,6 პროცენტით, ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შემცირებულია 2 მანეთითა და 87 კაპიკით და გაწეულია 819 ათასი მანეთის ეკონომია.

აგვისტოს პირველ დეკადაში ტყიბულში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა ამ უბნის კოლექტივმა, რომელსაც სამთო ინჟინერი ვ. პატარიძე ხელმძღვანელობს. ამ უბანმა დეკადური დავალება 147,5 პროცენტით შეასრულა. მარტო ერთ დღეს — 8 აგვისტოს უბანმა სარეკორდო მაჩვენებელი მოგვცა — 328 ტონა ქვანახშირი ამოიღო გეგმის გადამეტებით. ამ შახტის ცვლებს შორის ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს სამთო ტექნიკოსის დ. სოფრომაძისა და სამთო პრაქტიკოსის გ. ცქიფურიშვილის ცვლებმა. პირველმა ქვანახშირის მოპოვების დეკადური დავალება გაანაღდა 159 პროცენტით, ხოლო მეორემ — 147 პროცენტით. მძაცური შრომით აქ ბევრმა მეშახტემ გაითქვა სახელი. სანგრევების გათხრის გამოჩენილმა ოსტატმა გ. ფესხოლაძემ ივლისში 90,5 გრძივი მეტრი გამონამუშევარი გათხარა და თვიური დავალება 238,3 პროცენტით შეასრულა.

მეშახტის დღისათვის მზადებაში თავი ისახელეს მნგრეველმა ი. გვენტაძემ, მთხრელებმა ა. ჩიქობავამ და ა. ვარდოსანიძემ, რომლებიც შეტანილი არიან ტყიბულქვანახშირის ტრესტის საპატიო წიგნში. სახელი გაითქვეს აგრეთვე მეშახტე-სტახანოველებმა შ. გოჩელაშვილმა, დ. ნემსაძემ, კ. ცირეკიძემ, შ. ფოცხვერიამ, პ. ჩაფიძემ, ვ. კურცხალიამ, ა. ბრეგაძემ, რ. არაბიძემ და სხვ.

ახალი მიღწევებით ეგებება მეშახტის დღეს მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივი. შახტმა ვადაზე ოცი დღით ადრე გაანაღდა ქვანახშირის ამოღების 8 თვის დავალება და იკისრა მეშახტის დღისათვის ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს მრავალი ეშელონი ქვანახშირი.

ამ რამდენიმე დღეში მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივის დელეგაცია გაემგზავრება უკრაინაში სტუმრად ტრესტ „ალექსანდრიაუგოლის“ № 2-3 შახტის კოლექტივთან, რომელთანაც მოლოტოველები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. დელეგაცია უკრაინელ თანამოძმეებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს მეშახტის დღის დღესასწაულში, გაეცნობა უკრაინელ თანამოძმეთა გამოცდილებას.

ჭყვარჩელელ მეშახტეთა ავანგარდში

ტყვარჩელი. („კომუნისტის“ კორ.). ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეოთხე შახტის კოლექტივმა 5 აგვისტოსათვის გაანაღდა ქვანახშირის ამოღების 8 თვის გეგმა.

ახლა ახიბლარელი მეშახტეები სექტემბრის ბოლოს აძლევენ ქვანახშირს. დაწინაურდა ქვანახშირის საკარიერო წესით მოპოვების უბანი, აგრეთვე მეორე საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც ინჟინერი ბ. ხურცილავა ხელმძღვანელობს.



მეტი და მაღაღხარისხოვანი ღითონისათვის

მეჯაღურგების ახალი ვალდებულებანი

რუსთავი. (საკ. კორ.). 21 აგვისტოს რუსთავის კულტურისა და დასვენების საქალაქო პარკის სახაფხულო თეატრში გაიმართა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის საერთო კრება მეტი და მაღალხარისხოვანი ლითონისათვის, ადგილობრივი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისათვის ბრძოლის საკითხების განსახილველად.

კრებაზე მოხსენებიდან და კამათში გამოსული მეტალურგების სტყუვებიდან გამოირკვა, რომ მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ გეგმა შეასრულა სრული მეტალურგიული ციკლის მიხედვით და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა ათასობით ტონა ფოლადი, ნაგლინი, მილები. ამასთან შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება ქარხანამ 104,2 პროცენტით გაანაღდა, 9 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მოგვცა. მაგრამ შემდგომ თვეებში (მაისში, ივნისში, ივლისში) მეტალურგებმა ვერ შეინარჩუნეს აღებული რიტმი, ჩამორჩნენ.

ჩამორჩენის მთავარი მიზეზია შეფერხებანი ნედლეულით, განსაკუთრებით თუჯით მომარაგებაში, მარტენისა და საგლინავ საამქროებში აგრეგატთა ხანგრძლივი მოცდენები, შრომის დისციპლინის სისუსტე, ცალკე განყოფილებებს მიერ საამქროებისადმი მოუქნელი ტექნიკური ხელმძღვანელობა.

მეტალურგიული წარმოების მოწინავე ადამიანებმა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მეფოლადე ი. მეტრეველმა, მილსაგლინავი საამქროს ზეინკლათა ბრიგადირმა ი. მარჩენკომ, ბრძმედის საამქროს უფროსმა ი. ბესპალოვმა, მილნამზადის საამქროს უფროსმა გ. ქურდიანმა, მარტენის საამქროს უფროსის მოადგილემ გ. რაჩენკომ ილაპარაკეს მეტი ფოლადის, თუჯისა და ნაგლინის გამოსაკეთებისათვის ადგილობრივი რეზერვების სრულად გამოყენების საკითხებზე და შემოიტანეს კონკრეტული წინადადებები ქარხნის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მისაღწევად.

რუსთაველმა მეტალურგებმა ერთსულოვნად იკისრეს: მიმდინარე წლის ბოლომდე დაფარონ ჩამორჩენით გამოწვეული დავალიანება მეტალურგიული წარმოების ყველა სახეობაში, წლიური გეგმის გადამეტებით საგრძნობი რაოდენობით გამოუშვან ფოლადი, თუჯი, ნაგლინი და მთლიანნაგლინი მილები. ამასთან მათ იკისრეს წლის ბოლომდე გასწიონ 1000 ტონა ჯართის, 1.500 ტონა ლითონის, 400 ტონა მაზუთის, 3,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის, სულ 23 მილიონი მანეთის ეკონომია და დარჩენილ თვეებში შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 7 პროცენტით.

შეჯიბრება გაჩაღდა

ჩვენი ბრიგადა გაცხოველებით შეუდგა საშემოდგომო ხვნას. წელს შემოდგომაზე უნდა დავთესოთ 800 ჰექტარი ხორბალი. ხვნის დაწყებამდე ნიადაგი ავჩიჩეთ 300 ჰექტარზე და ანეული დავამუშავეთ 100 ჰექტარზე.

მაღალხარისხოვნად შევაკეთეთ გუთნები, სათესები, კულტივატორები. ჩვენი სატრაქტორო ბრიგადა მუშაობს კაჭრეთის რაიონის სოფელ ვერხვიანის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობა კარგად გვეხმარება, დროზე გამოგვიყვეს კოლმეურნეები, რომლებიც უზრუნველყოფენ სატრაქტორო ბრიგადას საწვავითა და წყლით.

სატრაქტორო ბრიგადა დაკომპლექტებულია გამოცდილი ტრაქტორისტებით. მზადდება მთესველები. კოლმეურნეობის გამგეობასთან და მემინდვრეობის ბრიგადებთან ერთად შევადგინეთ საშემოდგომო ხვნისა და თესვის ჩატარების გეგმა, სამუშაოთა გრაფიკი.

საშემოდგომო კულტურებისათვის ნიადაგს მოვხნავთ 25-30 სანტიმეტრზე წინასახნისიანი გუთნებით. მთელ ფართობს ჯვარედინად დავთესავთ.

ბრიგადის წევრები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმის დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. მექანიზატორები საქმით შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას. ტრაქტორისტები გ. სიმონიშვილი, გ. ალუღიშვილი და მ. მამულაშვილი ხვნის ყოველდღიურ დავალებებს 150 პროცენტით ასრულებენ. უკვე მოხნულია 200 ჰექტარზე მეტი. სატრაქტორო ბრიგადის ვალდებულებაა საშემოდგომო კულტურების დასათესად მთელი ფართობი მოხნას 27 აგვისტომდე, თესვა ჩაატაროს 10 სამუშაო დღეში აგროწესების მტკიცედ დაცვით, დადგენილ ვადებში მზრალად მოხნას 500 ჰექტარი.

მოვაწყობთ ტრაქტორების სადღეღამისო მუშაობას. საშემოდგომო სამუშაოებზე დავზოგავთ საწვავ-საცხები მასალის 10 პროცენტს.

ჩვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ახმეტის მტს-ის იმ სატრაქტორო ბრიგადას, რომელსაც ს. რამაზაშვილი ხელმძღვანელობს.

შ. ალუღიშვილი,

ბადიაურის მტს-ის შეხუთე სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

საშემოდგომო ხვნის მიმდინარეობა

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 20 აგვისტოს ცნობებით)

მტს-ების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტით	მტს-ების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტით	მტს-ების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტით	მტს-ების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტით
ხაშურის	28,6	ვაჩნაძის	28,3	ალაზნის	72,5	თელეთის	51,4
გომის	39,5	ბარალეთის	81,5	ტიბაანის	65,8	სამგორის	35,4
აგარის	24,5	ახალციხის	22,2	წითლის	70,7	მცხეთის	49,5
ქარელის	22,5	ასპინძის	92,4	შორაქნის	9,2	გარდაბნის	130,4
რუისის	31,0	ადიგენის	16,3	გამარჯვების	44,4	მარნეულის	51,0
გორის	95,8	თიანეთის	21,6	ქედის	107,4	შულავერის	53,5
ახალსოფლის	62,7	დმანისის	19,8	თელავის	50,1	კიზიკანის	30,4
ტყვიავის	45,8	გომარეთის	30,6	ნაფარეულის	35,8	წითელხიდის	69,6
შინდისის	44,9	ასურეთის	74,9	ახმეტის	64,5	ბოლნისის	39,0
კასპის	61,9	თეთრი წყაროს	48,9	ალვანის	75,4	თამარისის	92,6
სამთავისის	55,8	მანგლისის	50,1	ყვარლის	37,0	საგარეჯოს	91,3
თეძამის	75,7	გურჯაანის	60,4	ენისლის	35,8	იორის	45,4
დუშეთის	52,0	ველისციხის	60,1	აფენის	47,9	სართიჭალის	61,8
სტალინირის	12,6	კაკრეთის	53,0	ლაგოდეხის	40,8	უჯარმის	63,7
ქსუისის	16,9	ბადიაურის	56,3	ვარდისუბნის	37,0	ბორჯომის	15,8
ზნაურის	27,1	ულიანოვკის	47,7	დიღომის	41,0	**სულ საქართველოს**	
ლენინგორის	70,8	წნორის	60,5	მარტყოფის	48,3	**სს რესპუბლიკაში**	**49,5**

საბჭოთა მეცნიერთა ახალი ვალდებულებანი

რუსთავი. (საკ. კორ.). 21 აგვისტოს რუსთავის კულტურისა და დასვენების საქალაქო პარკის სახაფხულო თეატრში გაიმართა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის საერთო კრება მეტი და მაღალხარისხოვანი ლითონისათვის, ადგილობრივი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისათვის ბრძოლის საკითხების განსახილველად.

კრებაზე მოხსენებიდან და კამათში გამოსული მეტალურგების სტყუვებიდან გამოირკვა, რომ მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ გეგმა შეასრულა სრული მეტალურგიული ციკლის მიხედვით და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა ათასობით ტონა ფოლადი, ნაგლინი, მილები. ამასთან შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება ქარხანამ 104,2 პროცენტით გაანაღდა, 9 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მოგვცა. მაგრამ შემდგომ თვეებში (მაისში, ივნისში, ივლისში) მეტალურგებმა ვერ შეინარჩუნეს აღებული რიტმი, ჩამორჩნენ.

ჩამორჩენის მთავარი მიზეზია შეფერხებანი ნედლეულით, განსაკუთრებით თუჯით მომარაგებაში, მარტენისა და საგლინავ საამქროებში აგრეგატთა ხანგრძლივი მოცდენები, შრომის დისციპლინის სისუსტე, ცალკე განყოფილებებს მიერ საამქროებისადმი მოუქნელი ტექნიკური ხელმძღვანელობა.

მეტალურგიული წარმოების მოწინავე ადამიანებმა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მეფოლადე ი. მეტრეველმა, მილსაგლინავი საამქროს ზეინკლათა ბრიგადირმა ი. მარჩენკომ, ბრძმედის საამქროს უფროსმა ი. ბესპალოვმა, მილნამზადის საამქროს უფროსმა გ. ქურდიანმა, მარტენის საამქროს უფროსის მოადგილემ გ. რაჩენკომ ილაპარაკეს მეტი ფოლადის, თუჯისა და ნაგლინის გამოსაკეთებისათვის ადგილობრივი რეზერვების სრულად გამოყენების საკითხებზე და შემოიტანეს კონკრეტული წინადადებები ქარხნის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მისაღწევად.

რუსთაველმა მეტალურგებმა ერთსულოვნად იკისრეს: მიმდინარე წლის ბოლომდე დაფარონ ჩამორჩენით გამოწვეული დავალიანება მეტალურგიული წარმოების ყველა სახეობაში, წლიური გეგმის გადამეტებით საგრძნობი რაოდენობით გამოუშვან ფოლადი, თუჯი, ნაგლინი და მთლიანნაგლინი მილები. ამასთან მათ იკისრეს წლის ბოლომდე გასწიონ 1000 ტონა ჯართის, 1.500 ტონა ლითონის, 400 ტონა მაზუთის, 3,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის, სულ 23 მილიონი მანეთის ეკონომია და დარჩენილ თვეებში შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 7 პროცენტით.

თბილისს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კოოპერატორთა დელეგაცია

23 აგვისტოს თბილისს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სამომხმარებლო კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირის „ცენტროსოიუზის“ გამგეობის მოწვევით სტუმრად იმყოფება საბჭოთა კავშირში. დელეგაციას მეთაურობს კავშირის გამგეობის თავმჯდომარე იოზეფ პოდლიპნი.

აეროპორტში სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარე მ. ნარსია, რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის გამგეობის წევრები, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი თანამშრომლები.

დელეგაცია გაეცნობა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას, ინახულებს რაიკოოპკავშირებსა და სოფლის კოოპერატივებს (საქდესი)

პარტიული ცხოვრება

რაიკომის პირველადი ორგანიზაცია

პარტიის თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პირველადმა ორგანიზაციამ ამ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გამოაცოცხლა მუშაობა. პარტბიუროო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რაიკომის მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლებას, ინსტრუქტორებსა და განყოფილებათა გამგეებს შორის საზოგადოებრივ დავალებათა ისე განაწილებას, რომ იგი ხელს უწყობდეს მთელი პარტიული მუშაობის უკეთ დაყენებას. პარტიულ კრებებსა და პარტბიუროს სხდომებზე განიხილავენ შრომის დისციპლინის განმტკიცების, რაიკომის მუშაკთა პოლიტიკური განათლების, კომკავშირული ორგანიზაციის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მუშაობის და სხვა აქტუალურ საკითხებს.

რაიკომის მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. ინსტრუქტორები, განყოფილებათა გამგეები უფრო ხშირად მიდიან პირველადს ორგანიზაციებში, ახლა მთელ დროს ანდომებენ არა ყოველგვარი ცნობებისა და სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, არამედ ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას, მთავარ ყურადღებას აქცევენ ადგილზერივ პრაქტიკული დახმარების გაწევას, ორმაგ სწავდებიან საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობას.

საბრეწველო საწარმოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შედეგად რაიონის ფაბრიკა-ქარხნებმა ნახევარი წლის გეგმა 105,3 პროცენტით შეასრულეს. ამასთან საგრძნობლად ამაღლდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რის საფუძველზეც შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. 6 თვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 9.638.000 მანეთის პროდუქცია.

მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ რაიკომის აპარატის მუშაობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, ცალკეული ინსტრუქტორებისა და განყოფილებათა გამგეების საქმიანობაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის საქმისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების ელემენტები. ზოგიერთი ინსტრუქტორი თავის დროზე არ კითხულობს პირველადი პარტიული ორგანიზაციებიდან წარმოდგენილ ოქმებს, სათანადო ანალიზს არ უკეთებს მათ. არის მშრომელთა სარჩივრებსა და წერილებზე პასუხის დაგვიანებით გაცემის შემთხვევები. ერთი თვე მოუნდა, მაგალითად, რაიკომის საორგანიზაციო განყოფილება იმ სიგნალის შესწავლას, რომელიც მილიციის მეხუთე განყოფილების მუშაკს ამხ. ქოჩარაშვილს შეეხებოდა. ასეთ და მსგავს ნაკლოვანებათა შესწავლის შემდეგ პარტბიურომ რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ვ. პეტრიაშვილის რჩეგით პარტიულ კრებაზე მოიმინა გამოცდილი ინსტრუქტორის ვ. პატარაიას მოხსენება თემაზე — ინსტრუქტორის მოვალეობა რაიონული კომიტეტის აპარატში. პარტიულმა კრებამ კომუნისტების დიდი აქტივობით ჩაიარა. გამოირკვა, რომ რაიკომის მდივნები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ეხმარებიან ინსტრუქტორებს. ცალკეულ განყოფილებათა მიზეზით ზოგჯერ საკითხები მოუმზადებლად გამოაქვთ რაიკომის ბიუროზე. როგორც რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. პეტრიაშვილმა აღნიშნა, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ ცუდად მომამზადა თათბირი, რომელმაც რაიონის სკოლებისადმი საწარმოთა შეფობის საკითხი განიხილა.

პარტიულმა კრებამ ხელი შეუწყო ინსტრუქტორის მუშაობის კარგი გამოცდილების განზოგადებას, აგრეთვე იმ ნაკლოვანებათა მხილებას, რომელიც ჯერ კიდევ არის რაიკომის აპარატის საქმიანობაში.

პარტბიურო (მდივანი ნ. ხოკმაჟარაშვილი) სათავეში ჩაუდგა მიღებული დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლას. ამჟამად რაიკომის მუშაკები უფრო დაინტერესებული არიან ადამიანებთან ცოცხალი მუშაობით, პრაქტიკულად ეხმარებიან პირველადს ორგანიზაციებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. ინსტრუქტორები გ. გამცემლიძე, შ. უზნაძე, გ. ამირანაშვილი, გ. ლასურაშვილი და სხვები თავიანთ მუშაობაში ეყრდნობიან რა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ აქტივს, წარმატებით წყვეტენ პრაქტიკულ ამოცანებს, ეხმარებიან პირველადი ორგანიზაციების მდივნებს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებაში.

პარტიული კრების ოქმი პირველადი ორგანიზაციის მუშაობის ინფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ამიტომ სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება წარმოდგენილი ოქმების დროულად განხილვას, მათს ანალიზს. „თბილისმშენის“ სატრანსპორტო კანტორის პარტორგანიზაციის ოქმების განხილვისას ინსტრუქტორ შ. უზნაძისათვის ნათელი გახდა, რომ კანტორაში შრომის დისციპლინა მოისუსტებდა. ინსტრუქტორის რჩევით ეს საკითხი ღია პარტიულ კრებაზე განიხილეს. მიღებული დადგენილების განხორციელების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა. ინსტრუქტორი გ. პატარაია ახერხებს პარტიული კრებების ოქმები პარტბიუროს წევრებთან ერთად ადგილზევე წაიკითხოს, იქვე მიუთითოს შენიშნეულ ნაკლოვანებებზე.

პირველი გამაჯანსაღებელი საბავშვო ბაღის პარტბიუროს მუშაობა კომუნისტებმა არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს. ახლადარჩეულ მდივანს ა. კიზირიას კი პარტიული მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა. არ იცოდა გეგმის შედგენა, კრების ხელმძღვანელობა, ოქმების გაფორმება და სხვ. რაიკომის ინსტრუქტორი შ. უზნაძე დაეხმარა ახლადარჩეულ მდივანს საბავშვო ბაღის შედგენაში, ასწავლა როგორ მოემზადებინა და ჩაეტარებინა კრებები. ასეთი დახმარებით ამხ. კიზირიამ საკმაო გამოცდილება შეიძინა და მუშაობაც უკეთ წარმართა. ახლა აღნიშნული პარტიული ორგანიზაცია ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში.

ამჟამად რაიკომის განყოფილებების მუშაკები ყურადღებით სწავლობენ პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ყველა მხარეს, ეხმარებიან პარტორგანიზაციების მდივნებს პარტიული კრებების მომზადებაში, ასწავლიან, როგორ მოაწყონ მიღებულ დადგენილებათა შესრულება, როგორ უხელმძღვანელონ პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. ადგილებზე მუშაკების ხშირად მისვლამ ძლიერ შეამცირა რაიკომში სხვადასხვა თათბირებისა და სხდომების რიცხვი. ამაღლდა ინსტრუქტორების როლი.

მაგრამ რაიკომის აპარატის მუშაობაში ნაკლოვანებანიც არის. ზოგჯერ რაიკომში გამოძახებულ კომუნისტებ დიდხანს ლოდინი უხდება, ზოგიერთი ინსტრუქტორი სამუშაო დროს მთლიანად არ იყენებს შემოქმედებითი საქმიანობისათვის და სხვ. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში არსებითი როლი უნდა შეასრულოს რაიკომის პირველადმა ორგანიზაციამ.

მ. ვარდოსანიძე.

ქლუხორის რაიონში

ძალაქის კეთილმოწყობა

თანდათან ფართოვდება და კეთილნოწყობილი ხდება რაიონული ცენტრი — ქლუხორი. იგი დამშვენდა ლამაზი ადმინისტრაციული და საცხოვრებელი სახლებით, მოასფალტებული ქუჩებით, დაიბურა მწვანე ნარგავებით.

წელს რაიონული ცენტრის კეთილმოწყობისათვის ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება. 181 ათასი მანეთი გათვალისწინებულია გამწვანების შემდგომი სამუშაოებისათვის.

რაიონის სკოლებში

რაიონში 4 საშუალო, 7 რვაწლიანი და 3 დაწყებითი სკოლაა. 1 სექტემბრიდან ამ სკოლებში 3.000 ბავშვი ისწავლის. რაიონში საჭირო რაოდენობით შემოზიდულია სახელმძღვანელოები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები. სკოლები უკვე უზრუნველყოფილია სათბობით.

სამი ათასი ტურისტი

რაიონის, განსაკუთრებით მისი მთიანი მხარის უღამაზესი ბუნება, მრავალ მნახველს იზიდავს. სტუმრები ჩამოდიან მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, შორეული აღმოსავლეთიდან და ჩვენი დიდი სამშობლოს სხვა ქალაქებიდან და კუთხეებიდან. მარტო 15 ივნისიდან კურორტ ტებერდის ტურისტთა ბაზამ 3.020 ტურისტი მიიღო. ისინი ინტერესით ეცნობიან რაიონის ღირსშესანიშნავ ადგილებს და შემდეგ მიემგზავრებიან საქართველოს სხვა რაიონების გასაცნობად.

დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს

რაიონში 355 მრავალშვილიანი და მარტოხელა დედაა. ისინი სახელმწიფოსაგან ყოველწლიურად იღებენ დახმარებას. მაგალითად, 1952-1953 წლებში მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს დახმარების სახით მიეცათ 800 ათასი მანეთი, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამ მიზნით 154.300 მანეთი გაიცა.

ვ. გვალია.

სურნელოვანი ეთერზეთები საპარფიუმერიო მრეწველობას

ტრესტ „საქეთერზეთის“ ვარდის გადამმუშავებელმა ქარხნებმა ძვირფასი ეთერზეთების გადამუშავების 7 თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს. ივნისსა და ივლისში მიღებულია 100 კილოგრამი უანგარიშოდ ვარდის ზეთი. აგვისტოში კიდევ დაამზადებენ 70 კილოგრამ ვარდის ზეთს.

კარგად იმუშავა ხორშის საბჭოთა მეურნეობის ქარხანამ, რომელმაც გეგმა 101,5 პროცენტით შეასრულა. თელავის ქარხანამ გეგმა შეასრულა 108,5 პროცენტით. თვითეული ტონა ვარდიდან ყველაზე მაღალი გამოსავალი მიიღო ლაგოდეხის ქარხანამ — ერთი ტონა ნედლეულიდან მიღებულია 1.330 გრამი ძვირფასი ზეთი ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 1.160 გრამისა. ხორშის ქარხანამ მიიღო 1.220 გრამი ნაცვლად 980 გრამისა და სხვ.

ვარდს გარდა ქარხნებმა გადაამუშავეს 922,8 კილოგრამი ეკალიპტის ზეთი. მიღებულია აგრეთვე 180 კილოგრამი ციტრუსების სხვადასხვა ზეთები.

სურნელოვანი ეთერზეთები გადაეგზავნა საბჭოთა კავშირის საპარფიუმერიო მრეწველობას.

საგაზეთო თემაზე

მეგობრობის ჯაჭვი

ყოველწლიურად ფართოვდება ჩვენი სამშობლოს მოძმე რესპუბლიკების ხალხთა დიადი მეგობრობა. საქართველოს სსრ კოლმეურნეებს უკვე ტრადიციული მეგობრობა აკავშირებთ რსფსრ, უკრაინის, სომხეთის და სხვა მოძმე რესპუბლიკების საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებთან.

ხალხთა მეგობრობის ამ მნიშვნელოვანი თემის გაშუქებას სერიოზულ ყურადღებას აქცევენ გარეუბნის, მახარაძის რაიონული გაზეთები. 8 აგვისტოს ნომერში გარეუბნის რაიონულმა გაზეთმა **„სტალინის დროშამ“** გამოაქვეყნა მეტად საინტერესო მასალები „საერთო სათაურით — „ტიმონინელებთან მეგობრობით იზრდება და მტკიცდება ორთაჭალის კოლმეურნეობის ეკონომიკა“. მასში დაბეჭდილი წერილები ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ ორთაჭალელთა იმ წარმატებებზე, რასაც მათ მიაღწიეს ტიმონინელ მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის, მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შედეგად. ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი ნ. ნამიჩეიშვილი და მეძროხეობის ფერმის გამგე კ. თურმანიძე წერილში „მეცხოველეობის პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებლებისათვის“ ლაპარაკობენ ამაზე, თუ ამ უკანასკნელ ხანს კოლმეურნეობაში რა ღონისძიებანი განხორციელეს მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. თუ გასულ წელს 7 თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულ იქნა 1.117 ლიტრი რძე, მიმდინარე წელს 7 თვეში წველადობა 1.500 ლიტრამდე გაიზარდა. ყოველივე ამაში, — წერენ ისინი, — ჩვენ ძალიან დაგვეხმარა მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის ტიმონინოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის გამოცდილების ღრმად გაცნობა და მისი დანერგვა ჩვენს ფერმებში.

ორთაჭალის კოლმეურნეობის წარმატებებზე მკითხველებს მოუთხრობენ აგრეთვე მებოსტნეობის ბრიგადის ბრიგადირი ბ. ეფრემიძე, აგრონომი მ. ცინცაძე. მეტად საინტერესო ეპიზოდებია კოლმეურნეობის თავმჯდომარის ა. მიგრაიულის წერილში, რომელიც ამას წინათ სტუმრად იყო ტიმონინელ მეგობრებთან.

მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილია უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონისა და საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის კოლმეურნეთა მეგობრობა, რასაც უკვე დიდი ხნის ისტორია აქვს. ახლა კიდევ უფრო გაფართოვდა შეჯიბრება ამ ორი რაიონის კოლმეურნეობებს შორის. ამას წინათ უკრაინაში მყოფი მახარაძის რაიონის დელეგაციის თანამგზავრმა, სოფელ ცხემლისხიდის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენელმა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება ჩაიტანა უკრაინელ მეგობრებთან — ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში. ამ დღეებში ცხემლისხიდელებმა გენიჩესკიდან მიიღეს წერილი, რომელშიც იუწყებიან, რომ კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებამ ერთსულოვნად გადაწყვიტა ჩაებას სოციალისტურ შეჯიბრებაში ქართველ მეგობრებთან. კრების მონაწილეებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი და ცხემლისხიდელ კოლმეურნეებს საჩუქრად უძღვნეს ერთი ჯიშიანი ძროხა და ერთი ბუღა-მწარმოებელი.

ცხემლისხიდის ანდრეევის სახელობას კოლმეურნეობის წევრებმა საერთო კრებაზე ერთსულოვნად გადაწყვიტეს გენიჩესკელ მეგობრებს საჩუქრად გაუგზავნონ 1,5 ტონა თხილი (თვითეული კომლზე 5 კილოგრამი), მათთვის გამოჰყონ 0,5 ჰექტარი ვენახის პლანტაცია 1.800 ძირი ვაზის რაოდენობით (თვითეულ კომლზე 6 ძირი), საიდანაც კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თვითეული ოჯახი ყოველწლიურად მიიღებს 10-15 კილოგრამ ყურძენს.

ამ ორ კოლმეურნეობას შორის ახლად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას მკითხველებს აცნობს მახარაძის რაიონული გაზეთი **„ლენინის დროშა“**. გაზეთი ამასთან იუწყება, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ აგრეთვე სოფელ მელექედურის სტალინის სახელობისა და გენიჩესკის რაიონის სოფელ ნოვოივანოვსკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობები. გაზეთი წერს, რომ მელექედურელმა კოლმეურნეებმა უკრაინელი ამხანაგებისგან ამ დღეებში მიიღეს ძვირფასი საჩუქარი — სამახსოვრო ალბომი, რომელშიც ლამაზად არის ჩასმული ამ ორ კოლმეურნეობას შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

მოძმე რესპუბლიკების საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა ძმური, მეგობრული შეჯიბრების ფართოდ გაშუქება გაზეთების უმნიშვნელოვანესი თემაა. საჭიროა რაიონულმა გაზეთებმა ეს თემა კიდევ უფრო ღრმად, მოფიქრებულად და სისტემატურად გაამუქონ. იგი ხელს შეუწყობს ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა დიადი მეგობრობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების საქმეს.

თათბირი კედლის გაზეთების მუშაობის გაუმჯობესების საკითხზე

ზესტაფონი. პარტიის რაიკომში შედგა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და კოლმეურნეობებთან, საწარმოებთან, მშენებლობებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან არსებული კედლის გაზეთების რედაქტორების რაიონული თათბირი. მოხსენებით საკითხზე „პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები ძირეული პრესის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში“ გამოვიდა რაიონული გაზეთის „ლენინელის“ რედაქტორი ლ. ლალაძე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 8 კაცმა. თათბირმა კედლის გაზეთების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დასახა სათანადო ღონისძიებანი.

როცა ჩამორჩენას ობიექტური მიზეზებით ხსნიან

ახალქალაქის რაიონში, რომელსაც თავისი ეკონომიკით ჩვენს რესპუბლიკაში საკმაოდ დიდი წონა აქვს, ჯერ კიდევ მთელი შესაძლებლობით არ იბრძვიან იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის განხორციელებისათვის დასახეს. მართალია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში ამ რაიონის კოლმეურნეობებს წინა წლებთან შედარებით ერთგვარი მიღწევები აქვთ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ყველა იმ შესაძლებლობებს, რომლებიც რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის არსებობს, დავრწმუნდებით, რომ უკანასკნელ წლებში ამ მოპოვებული მიღწევები ერთობ მცირეა.

ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ გასულ წელს რაიონში პუდრეული ნაცვლად გეგმით გაოვალისწინებული 16,5 ცენტნერისა საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს მხოლოდ 6 ცენტნერამდე, ხოლო კარტოფილი 120 ცენტნერის ნაცვლად 85,7 ცენტნერი.

რაიონის კოლმეურნეობებმა სერიოზული ჩამორჩენით დაამთავრეს გასული წელი რაიონისათვის ისეთი წამყვანი დარგის განვითარების საქმეშიც, როგორიც არის საზოგადოებრივი მეცხოველეობა. განსაკუთრებით ჩამორჩენენ მეცხოველეობის პროდუქტიულობაში. თვითეულ საფურაქე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 1.000 ლიტრის ნაცვლად საშუალოდ მხოლოდ 553,6 ლიტრი რძე მიიღეს. ამ მხრივ კარგი მდგომარეობა არც მიმდინარე წელს არის. ივლისის ბოლო რიცხვებისათვის თვითეულ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ მიღებულია მხოლოდ 330 ლიტრი რძე. ცალკე კოლმეურნეობათა მიხედვით კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა.

რაიონში შესრულებული არ არის აგრეთვე პირუტყვის, კერძოდ ძროხების სულადობის ზრდის გეგმა.

აღსანიშნავია, რომ რაიონისა და ცალკე კოლმეურნეობათა ზოგიერთი ხელმძღვანელები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დაბალ დონეს ზოგჯერ რაიონისათვის ღამახასიათებელი, განსაკუთრებული კლიმატური პირობებით, სხვადასხვა სახის ობიექტური მიზეზებით ხსნიან. ეს აზრი რომ ძირშივე მცდარია, იქიდანაც ჩანს, რომ ამ რაიონის ერთსა და იმავე ზონაში და ყოველმხრივ ერთნაირ პირობებში მყოფ კოლმეურნეობებს სულ სხვადასხვა საშეურნეო მაჩვენებლები ჰქონდათ და აქვთ. მაგალითად, სოფელ კოთელიას ჩოდრაშვილის სახელობის კოლმეურნეობაში გასულ წელს საშუალოდ ჰექტარზე 4 ცენტნერით მეტი ხორბალი მოიყვანეს, ვიდრე მეზობელი სოფლის ბარალეთის კოლმეურნეობაში. სოფელ კარტიკამის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გასულ წელს უდრიდა 197,6 ცენტნერს, ხოლო ამ კოლმეურნეობის მეზობელი სოფლის კულიკამის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელსაც კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების საუკეთესო პირობები აქვს, საშუალოდ ჰექტარზე 66 ცენტნერი კარტოფილი მიიღეს.

სოფელ ალავერდის ხრუშოვის სახელობის კოლმეურნეობაში სისტემატურად ადიდებენ მეცხოველეობის პროდუქტიულობას. გასულ წელს ამ თვითეულ საფურაქე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 1.000 ლიტრის ნაცვლად საშუალოდ 1.183 ლიტრი რძე მიიღეს. ხოლო ამ კოლმეურნეობის მოწინავე მწველავებმა ა. ზგდოიანმა, ა. ტაშჩიანმა, კ. სრაპიანმა, ს. გინოიანმა მოსავლად მიჩენილი ძროხებისაგან თვითეულზე 2.500-2.800 ლიტრი რძე მიიღეს. დასახელებულ კოლმეურნეობაში მიმდინარე წლის პირველი ივლისისათვის წველადობის წლიური გეგმა თითქმის მთლიანად ჰქონდათ შესრულებული. სულ სხვა სურათი იყო და არის სოფელ ალავერდის მეზობელი სოფლის ხავეტის ეოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის გაცილებით უფრო კარგი პირობები აქვთ, ვიდრე ალავერდელ კოლმეურნეებს. ხავეტელებმა გასულ წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე მხოლოდ 480 ლიტრი რძე მიიღეს, წელს კი წველადობის წლიური გეგმა სანახევროდაც არა აქვთ შესრულებული.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის საქმეში ასევე მკვეთრი განსხვავებაა თანაბარ პირობებში მყოფ სოფელ ხოსპიოს რუსთაველის სახელობისა და სოფელ ჩუნჩხის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებში. ხოსპიოელ კოლმეურნეებს წველადობის წლიური გეგმა 1 ივლისისათვის ჰქონდათ შესრულებული, ხოლო ჩუნჩხელ კოლმეურნეებს ამავე რიცხვისათვის თვითეულ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ მიღებული ჰქონდათ 187 ლიტრი რძე.

სოფლების კულიკამის, ხოსპიოს, ბუზავეთის, გოგაშენის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში სისტემატურად არღვევდნენ და არღვევენ მარცვლეული კულტურების, კარტოფილის და ბოსტნეულის ნათესებისათვის ნიადაგის დამუშავების, თესვისა და მოვლა-პატრონობის აგროწესებს. მარცვლეული კულტურების ნათესების დიდი უმრავლესობა როგორც წინა წლებში, ისე წელსაც თითქმის მთლიანად სარეველა ბალახებით იყო დაფარული. ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ სოფელ კულიკამის შაუმიანის სახელობისა და ხოსპიოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებში ხორბლის საშემოდგომო ნათესის თვითეულ ჰექტარზე შარშან საშუალოდ 1.5 ცენტნერი ხორბალი მიიღეს. მიმდინარე წელს კი დასახელებული და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები მარცვლეულს მოსავლიანობის დაწესებულ გეგმებს სანახევროდაც ვერ ასრულებენ.

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემცირებას ისიც იწვევს, რომ მტს-ები და ცალკეული კოლმეურნეობები მოუმზადებელი შეხვდნენ მოსავლის აღებას. 7 აგვისტოს ხოსპიოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის პურეულის ნაკვეთზე 2 კომბაინი თითქმის მთელი დღე ყმოქმედოდ იდგა, რადგან ტრანსპორტისა და მარცვლეულის დასაბინავებელი ადგილის უქონლობის გამო ხორბლით სავსე ბუნკერების დაცლა ვერ შეძლეს. კოლმეურნეობებში დანაკარგებთან ბრძოლის საქმისადმი შეუწყნარებელ დამოკიდებულებას იჩენენ. რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობას მოსავლის აღების დაწყებისაა, რაც აქ უკვე გაჩაღდა, შედგენილი და დამტკიცებული არ ჰქონდა მოსავლის აღებისა და დაბინავების კონკრეტული გეგმა.

რაიონში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. თუ რა უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ზოგიერთ კოლმეურნეობაში ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს, ამაში შეიძლება დავრწმუნდეთ შემდეგი მაგალითით.

სოფელ ხანდოს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში დროულად არ იზრუნეს პირუტყვისათვის საკვების მოსამარაგებლად. საჭირო ბინების უქონლობის გამო პირუტყვი მოსავლელად ცალკე კოლმეურნეთა ბინებში გაანაწილეს. ამასთან ყურადღება არ მიაქციეს მათ მოვლა-პატრონობას, რის შედეგადაც მარტო ამ კოლმეურნეობაში 340-ზე მეტი სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი დაიხოცა. ამ მდგომარეობას კოლმეურნეობის გამგეობა და მისი თავმჯდომარე კარგა ხანს უმალავდნენ კოლმეურნეებსა და ზემდგომ ორგანოებს. ამ უმსგავსობას რაიონის ხელმძღვანელი ორგანოება, კერძოდ კი პარტიის რაიკომი დროულად არ გამოეხმაურა, არ იქნა მიღებული გადამჭრელი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული მაგალითებიდან სათანადო დასკვნები ჯერ კიდევ არ არის გამოტანილი. ეს იქიდან ჩანს, რომ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის სუსტად ემზადებიან წელსაც. უხეში და წვნიანი საკვების დამზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, არ სრულდება სასილოსე ორმოების მშენებლობის გეგმა. ახალქალაქის, ვაჩიანისა და ბარალეთის მტს-ები მოემზადებელნი შეხვდნენ ბალახის თიბვისა და სილოსის ჩადების დაწყებას. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, პირუტყვისათვის საკვების დამზადების სეზონის დაწყებისას ამ მტს-ებს ბალახის სათიბი 15-20 მანქანის ნაცვლად მხოლოდ თითო მანქანა ჰქონდათ.

სოფელ გომანის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე რ. ხაჩატურიანი, პარტორგანიზაციის მდივანი ო. უსტიანი) წლების მანძილზე არ სრულდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმები. ასეთი მდგომარეობა უწინარეს ყოვლისა იმით არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობაში ყურადღება არ ექცევა შრომის ორგანიზაციას, შრომისუნარიანი კოლმეურნეთა დიდი ნაწილი არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში. კოლმეურნეობას 500-მდე შრომისუნარიანი წევრიდან ნახევარზე მეტს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არა აქვს გამომუშავებული.

გაცხარებული მუშაობის დღეებში ამ კოლმეურნეობის კანტორასა და მის ეზოში ხშირად ნახავთ თავმოყრილ კოლმეურნეებს, რომლებიც, საკარმიდამო ნაკვეთებზე მუშაობით დაღლილნი, აქ დასასვენებლად მოსულან. ასე იყო, მაგალითად, მიმდინარე წლის 7 აგვისტოს. ცალკე კოლმეურნეები, რომლებიც ამ დღეს კოლმეურნეობის კანტორის ეზოში ვნახეთ, სამართლიანად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ მათ პირად ბარათებში სწორად არ შეაქვთ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა, რომ კოლმეურნეობის გამგეობის წევრები, ბრიგადირები, სარევიზიო კომისიის წევრები და რგოლის ხელმძღვანელები თვითონ გაურბიან საკოლმეურნეო შრომას. კოლმეურნეები საყვედურს გამოთქვამდნენ აგრეთვე იმის გამო, რომ კოლმეურნეობაში მყოფი კომუნისტები „თბილი“ სამუშაოს ეძებენ, ერიდებიან ფიზიკურ მუშაობას. სამწუხაროდ, ეს მართლაც ასეა. კოლმეურნეობაში 22 კომუნისტი ირიცხება, მათი უმრავლესობა კოლმეურნეობის კანტორასა და ფერმებში ხელმძღვანელ სამუშაოზეა განაწილებული, ხოლო იმ კომუნისტებიდან, რომლებიც მემინდვრეობის ბრიგადებსა და რგოლებში ირიცხებიან, არცერთს არა აქვს გამომუშავებული შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი.

კოლმეურნეობის წევრები უკმაყოფილი არიან იმითაც, რომ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. რ. ხაჩატურიანს ცოტა დრო რჩება საქმის გასაძღოლად. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ის რაიონის ცენტრში, ახალქალაქში ცხოვრობს და დიდ დროს ახალქალაქსა და სოფელ გომანს შუა მოგზაურობას ანდომებს.

ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებისთვისაც რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ ვერ დაუღწევიათ თავი, იმითაც უნდა აიხსნას, რომ რაიონში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პარტიულ-ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათავეში არ უდგანან კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის ზრდას, საჭირო ყურადღებას არ აქცევენ მშრომელთა პოლიტიკურ აღზრდას, სათანადო დახმარებას არ უწევენ კოლმეურნეობათა გამგეობებს, არ იბრძვიან კომუნისტების ავანგარდული როლის გაზრდისათვის.

ყველა ის ნაკლოვანება, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ნათლად მეტყველებს, რომ პარტიის ახალქალაქის რაკომს (მდივანი ა. ბლრაციანი) ჯერ კიდევ სათანადოდ არ გარდაუქმნია მუშაობა იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც პარტიამ სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის დასახა.

ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებს ყველა პირობა და შესაძლებლობა აქვთ თავი დააღწიონ ჩამორჩენას, გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, დააყენონ საზოგადოებრივი მეცხოველეობა შემდგომი აღმავლობის გზაზე. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლის ინტერესები მოითხოვს ამაღლდეს რაიონის პარტიული ორგანიზაციების, პარტიული და საბჭოთა აქტივის დამრახმელი როლი.

კ. სიხარულიძე.
ე. ხარებავა.

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

პარჯიული ქრონიკა

ფოთი. (საკ. კორ.). პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიუროომ მოისმინა რკინიგზის ფოთის კვანძის პარტიული კომიტეტის ანგარიში.

ბიუროზე აღინიშნა, რომ პარტიულმა კომიტეტმა პირველადი ორგანიზაციების მუშაობისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების შედეგად შეძლო პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესება. მიუხედავად ამისა, არის ნაკლოვანებანიც. კვანძის პარტიული კომიტეტის მხრივ არასაკმაო დახმარების შედეგად პირველადს ორგანიზაციებში არარეგულარულად იწვევენ პარტბიუროს სხდომებს (ლიანდაგისა და მოძრაობის დარგი, სავაგონო დეპო). პარტიულ კრებებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში ჩაბმული არ არიან კომუნისტები. იშვიათად იწვევენ ღია პარტიულ კრებებს. სუსტად არის დაყენებული მუშაობა უპარტიო აქტივთან. არასაკმაო ყურადღება ექცევა მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას.

რკინიგზის კვანძის საწარმოებში არის შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. კვანძის პარტიული კომიტეტი და პირველადი ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ შრომის დისციპლინის საკითხ

რაზომ ურიგდებიან ჩამორჩენას ჩაის კრეფაში?

ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდების ყველა რეზერვი მთლიანად არ არის გამოყენებული ცხაკაიას რაიონში. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილების გასავრცელებლად. რაიონი დიდად ჩამორჩა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებაში. 20 აგვისტოსათვის წლიური გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 60 პროცენტით, აგვისტოსი — 35,5 პროცენტით.

ამჟამად ჩაი უხვად არის შემოსული, მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებში კრეფისათვის თავს არ იწუხებენ. სოფელ ზეთლემის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. მალანია) წლიური გეგმა რომ შესრულდეს, საჭირო ყოველდღიურად იკრეფებოდეს სულ მცირე 1.200 კილოგრამი ფოთოლი, ფაქტიურად დღეში 750-900 კილოგრამს კრეფენ. ამის მიზეზი ის არის, რომ კოლმეურნეობაში მოუწყობელია შრომა. ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე როდი მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში. კოლმეურნეობის გამგეობა არ ზრუნავს ოჯახშვო ბაგის გახსნისათვის. ამიტომ ბავშვიანი ქალები ჩაის კრეფაში ვერ მონაწილეობენ. შრომის დისციპლინა განსაკუთრებით დაბალია მესამე ბრიგადაში (ბრიგადირი პ. ბარძემიშვილი). აქ ჩაის კრეფაზე ყოველდღიურად შეიძლება იმუშაოს 44 კოლმეურნემ. ფაქტიურად 11 აგვისტოს პლანტაციაში მხოლოდ 19 მკრეფავი იყო. კოლმეურნეებმა ლ. ტყებუჩავამ, თ. კვირკველიამ, ქ. ტყებუჩავამ თვითნებურად მიატოვეს სამუშაო.

ცუდი მდგომარეობაა ნედლეულის ხარისხის მხრივაც. კოლმეურნეობაში მოკრეფილი ჩაიდან 55,3 პროცენტი მეორე ხარისხისაა.

ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ უმაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშია. აქ შემოსული ფოთოლი სისტემატურად არ იკრეფება, რის გამო დიდია დანაკარგები. არის ფოთლის გაუხეშების ფაქტებიც. ეს საგრძნობლად შესამჩნევია იმ ნაკვეთებში, რომლებსაც კოლმეურნეები გ. სიჭინავა, თ. გოგინავა, თ. წირღვავა და ნ. გოგინავა უვლიან.

სოფელ ხორშის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობას ჩაის სრულმოსავლიანი პლანტაცია 53,9 ჰექტარზე აქვს. იგი კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითადი წყაროა.. ამიტომ ბუნებრივია, რომ კოლმეურნეები მას კარგად უნდა უვლიდნენ, მაგრამ ასე როდია. კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე პ. კანკავა) და პარტიული ორგანიზაცია (მდივანი მ. სახეიშვილი) ცუდად ხელმძღვანელობენ საკოლმეურნეო წარმოებას. რით შეიძლება იმის გამართლება, რომ 8 ჰექტარი სრულმოსავლიანი ჩაი ბარდ-ეკლით არის დაფარული. პირველი კულტივაცია ჩატარდა მხოლოდ 30 ჰექტარ პლანტაციაში, ხოლო მეორე — 15 ჰექტარზე. მწკრივთა შორის ნიადაგი გაუფხვიერებელია, პირუტყვი აზიანებს ბუჩქებს. ამასთან 9 ჰექტარი ახალგაზრდა პლანტაცია უპატრონოდ არის მიტოვებული, აქ არავითარი აგროტექნიკური ღონისძიებანი არ განხორციელებულა.

ამ კოლმეურნეობაში ნაკლებად ჩანს მტს-ის აგრონომის გ. სულაქველიძის როლი ხარისხისათვის ბრძოლაში. ეს ყველაფერი კარგად იციან ცხაკაიას მტს-ში, მაგრამ შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად გადამჭრელ ზომებს არ იღებენ.

კოლმეურნეობაში დაბალია შრომის ნაყოფიერება. 172 წეგრიდან მიმდინარე წლის პირველ პერიოდში შრომადღის სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 32-ს. ფ. გრიგოლია, მ. ჭანტურია, ე. რეკვავა, ქ. გვასალია, ს. გვასალია უხეშად არღვევენ შრომის დისციპლინას. მათ მიმდინარე სეზონში არცერთი კილოგრამი ჩაი არ მოუკრეფიათ. ამასთან მეჩაიეები უზრუნველყოფილი არ არიან კალათებით, ამიტომ ფოთოლს ხშირად კალთასა და დასვრილ ტომრებში ყრიან, რაც აუარესებს ნედლეულის ხარისხს. კოლმეურნეობამ გასული თვეები ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა, წლიური გეგმის მეოთხედიც არ იყო შესრულებული. არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად არავითარ ზომებს არ იღებენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მოწინავედ მეორე ბრიგადა (ბრიგადირი ი. ხოჭოლავა) დაასახელა. ფაქტიურად ასე როდია. პლანტაციების ნაწილი დაუმუშავებელია, სარეველა მცენარეებით არის დაფარული. 13 აგვისტოს ფოთლის კრეფაზე მხოლოდ 10 კოლმეურნე მუშაობდა ნაცვლად 18-სა. ამიტომ კრეფის დღიურ გეგმებს 60-70 პროცენტით ძლივს ასრულებენ. ასეთივე მდგომარეობაა სხვა ბრიგადებშიც.

ეს ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ აქ სათანადო დონეზე არა დგას პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. აგიტატორები იშვიათად ესაუბრებიან მშრომელებს მათ წინაშე მდგომ ამოცანებზე. ხშირად აგიტატორის საპატიო მოვალეობას ამ საქმით დაუინტერესებელ პიროვნებას აკისრებენ. რის გამო ჩაშლილია საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორები ქ. ქაშიბაძე, ლ. გიგინეიშვილი, ნ. გვასალია უმოქმედობას იჩენენ. ნ. გვასალია გამოყოფილია აგიტატორად მესამე ბრიგადის № 3 რგოლში, მაგრამ დაკისრებულ მოვალეობას არაკეთილსინდისიერად ასრულებს, თვითონ თავს არიდებს საზოგადოებრივ შრომას. მას მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე არცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია. ჩაის კრეფაში ასეთი ცუდი მდგომარეობა მარტო ამ კოლმეურნეობაში როდია. პლანტაციებს კარგად არ უვლიან და ფოთლის დანაკარგებს ვხვდებით სოფელ ნოქალაქევის მოლოტოვის სახელობის, პირველი მაისის სტალინის სახელობის, ხორშის სტალინის სახელობის და სოფელ ზანის კოლმეურნეობებში.

საერთოდ რაიონში ჩაის კრეფის წლიური გეგმის შესრულება საფრთხეშია. ამ მდგომარეობის აღსაკვეთად პარტიის რაიონულ კომიტეტსა და რაისაბჭოს აღმასკომს ქმედითი ზომები არ მიუღიათ.

როდემდის გაგრძელდება ეს შეუწყნარებელი ჩამორჩენა ჩაის კრეფაში?

ა. პატარაია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი ბ. ვაშაკიძე ჩაის კრეფის ყოველდღიურ დავალებებს 250-300 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: ბ. ვაშაკიძე ჩაის კრეფის დროს.
ფოტო შ. გოქაძისა.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 21 აგვისტოს ცნობებით)

	გეგმის შესრულება პროცენტობით		
რაიონები		აგვისტოსი	წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით
ბათუმის	81,7	71,2	
ქობულეთის	73,5	52,8	
ქედის	85,0	83,3	
სულ აჭარაში	**75,5**	**56,5**	
გალის	72,0	43,3	
ოჩამჩირის	75,1	46,0	
გულრიფშის	79,9	54,4	
სოხუმის	67,9	36,2	
გუდაუთის	72,5	41,0	
სულ აფხაზეთში	**73,4**	**44,1**	
მახარაძის	67,4	40,9	
ჩოხატაურის	68,3	36,0	
ლანჩხუთის	70,2	45,8	
სამტრედიის	52,3	25,4	
წულუკიძის	64,6	37,2	
ქუთაისის	63,3	29,3	
წყალტუბოს	90,0	75,0	
ტყიბულის	61,9	30,2	
ცხაკაიას	60,0	35,5	
აბაშის	52,5	36,0	
გეგეჭკორის	68,2	40,8	
ზუგდიდის	68,0	45,1	
წალენჯიხის	79,1	58,3	
ჩხოროწყუს	74,2	48,4	
ხობის	59,2	35,6	
თერჯოლის	53,7	5,8	
ზესტაფონის	75,0	5,0	
სულ საქართველოს			
სს რესპუბლიკაში	**70,5**	**44,6**	

შენიშვნა: მახარაძის რაიონის ცნობები არასრულია.

მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი

მიღებული 1954 წლის 22 აგვისტოს საზეიმო სხდომაზე ბუქარესტში

ბუქარესტი, 23 აგვისტო. (საკდესი). 22 აგვისტოს ბუქარესტში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა რუმინეთის განთავისუფლების 10 წლისთავს. სხდომას მონაწილეებმა მიიღეს შემდეგი დეპეშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი:

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ბუქარესტის მშრომელები, რომლებიც შეიკრიბნენ საზეიმო სხდომაზე რუმინეთის განთავისუფლების მეათე წლისთავის გამო, ეროვნული დღესასწაულის ამ დღეს მხურვალე სალამს უძღვნიან საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას.

ამ დღეს რუმინელი ხალხი დიდი მადლობით ფიქრობს გმირ საბჭოთა მეომრებზე, რომლებმაც საკუთარი სისხლი დაღვარეს ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის, ფაშიზმის განადგურებისათვის ბრძოლაში, რათა მშვიდობა და თავისუფლება მოეპოვებინათ მსოფლიოსათვის. ჩვენი სამშობლოს მშრომელთა გულში არასოდეს არ ამოიშლება სიყვარულისა და მადლობის გრძნობა ჩვენი დიდი მეგობრის — საბჭოთა კავშირისადმი, სახელოვანი საბჭოთა ხალხისადმი.

23 აგვისტოს ჩვენს ხალხს დაუდგა ახალი ცხოვრების განთიადი, მას საშუალება მეცა პირველად აეღო ხელში თავისი ბედი, დაეყარებინა სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლება — მშრომელი ხალხის უფლებათა და თავისუფლებათა დამცველი და შესდგომოდა მომავალი კეთილდღეობისა და ბედნიერების შექმნას.

1944 წლის 23 აგვისტოდან განვლილი ათი წელი ღრმა გარდაქმნათა ათი წელია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. რუმინეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირით თავდადებული და გმირული შრომის მეოხებით, გადალახა რა დაბრკოლებანი და სიძნელეები, მნიშვნელოვანი გამარჯვებანი მოიპოვა რუმინეთის ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ბრძოლაში.

ჩვენს შრომაში ყოველთვის ვგრძნობდით საბჭოთა კავშირის უანგარო მრავალმხრივ და ძმურ დახმარებას. ამ დახმარებისათვის სულითა და გულით მადლობას გიძღვნით, ძვირფასო მეგობრებო. მადლობას გიძღვნით თქვენი მდიდარი გამოცდილებისათვის, რომელიც მთელი სიყვარულით გაგვიზიარეთ, გამოცდილებისათვის, რომელიც ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფასდაუდებელი კუთვნილება გახდა. ცხოვრებამ დაგვამტკიცა და ყოველთვის გვამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და კავშირის გზა ჩვენი ხალხისათვის თავისუფლების, სიცოცხლისა და მშვიდობის გზაა, მის დიდ შემოქმედებითს საქმეში გამარჯვების გზაა.

ჩვენს ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ დაზოგოს თავისი ძალები ჩვენს მშობლიურ ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ამიტომ იგი მთელი სიმტკიცით უჭერს მხარს დაუცხრომელ ბრძოლას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწევა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისათვის, ევროპასა და მთელ მსოფლიოში კოლექტიური უშიშროებისათვის.

ჩვენი ხალხი მომავალშიც დაიცავს და განმტკიცებს ურყევ მეგობრობას დიდ საბჭოთა კავშირთან, სახალხო ჩინეთთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, განაგრძობს თანამშრომლობასა და ეკონომიურ ურთიერთობას ყველა ქვეყანასთან და ხელს შეუწყობს მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფას.

ჩვენ შევდივართ ჩვენი თავისუფალი ცხოვრების მეორე ათწლეულში და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი რუმინეთის მუშათა პარტიის წინამძღოლობით განუხრელად განვაგრძოთ გზა, რომელიც გასხივოსნებულია მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე იდეებით.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს — განმათავისუფლებელს, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების ბურჯს, რომელიც მუდამ გვიწევს დახმარებას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს და მარად ყვავოდეს მეგობრობა რუმინელ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის!

რუმინეთის განთავისუფლების მეათე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ბუქარესტში

ბუქარესტი, 22 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბუქარესტში ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა რუმინეთის განთავისუფლების მეათე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმში შემოდიან რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გეორგიუ-დეჟი, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გროზა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. აპოსტოლი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები ი. კიმინევსკი, კ. სტოიკა და ა. მოგიოროში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ე. ბოდნარაში, მ. კონსტანტინესკუ და პ. ბორილა, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ნ. მ. შვერნიკი, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. გოლიკოვი. შეკრებილნი მათ მქუხარე ტაშით ხვდებიან. სხდომას დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი ლ. გ. მელნიკოვი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ვან იუ-პანი, საელჩოებისა და მისიების მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან ბუქარესტში, აგრეთვე დღესასწაულზე ჩამოსული უცხოელი სტუმრები.

მოხსენება რუმინელი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულის — რუმინეთის განთავისუფლების მეათე წლისთავის შესახებ გააკეთა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. გეორგიუ-დეჟმა, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. მოხსენება, სადაც უხვად იყო მოყვანილი ციფრები და ფაქტები, რომლებიც მოწმობენ გასული ათი წლის მანძილზე სოციალიზმის შენებლობის საქმეში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ მიღწეულ წარმატებებს, მოსმენილ იქნა განსაკუთრებული ყურადღებით და იგი მომხსენებელს არაერთგზის შეაწყვეტინეს ტაშით.

როცა თავმჯდომარემ სიტყვა მისცა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურს ამხ. ნ. მ. შვერნიკს, ყველანი ფეხზე ადგნენ და მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია გამართეს.

ნ. მ. შვერნიკმა საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით რუმინელ მშრომელებს მიულოცა რუმინეთის განთავისუფლების მეათე წლისთავი და უსურვა შემდგომი წარმატებანი ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ბრძოლაში, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის ბრძოლაში. მთელი დარბაზის ტაშის გრიალში ნ. მ. შვერნიკმა გამარჯვება უსურვა თავისუფალ და დამოუკიდებელ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას, რუმინეთის მუშათა პარტიას — რუმინელი ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, რუმინელი და საბჭოთა ხალხების სამარადისო და ურღვევ მეგობრობას. (მთელი დარბაზის მქუხარე ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები „გაუმარჯოს სსრ კავშირს“).

ვატიკანი იმპერიალიზმის სამსახურში

რეაქციისა და ომის განაკის აგენტურა

სახელმწიფო „ვატიკანი“ ძნელი მოსანახია ევროპის გეოგრაფიულ რუკებზე. მისი ტერიტორია იმდენად მცირეა, რომ მას რუკებზე ჩვეულებრივ არ აღნიშნავენ. ეს სახელმწიფო შეიქმნა 1929 წელს. იგი მდებარეობს ქალაქ რომის (იტალია) ნაწილას ტერიტორიაზე. მისი ფართობია 44 ჰექტარი, ხოლო ქვეშევრდომთა რიცხვი ვერ აღწევს ათასს. მისი არმიის რიცხვი (პოლიციასთან ერთად) არ აღემატება 250 კაცს. ვატიკანის სახელმწიფოს შეუზღუდველი თვითმპყრობელი მმართველია რომის პაპი. ამჟამად პაპის ტახტზე ზის პაპი პიუს XII.

მიუხედავად თავისი სიპატარავისა, ვატიკანის სახელმწიფო მცირე გავლენას როდი ახდენს საერთაშორისო ცხოვრების ამბებზე და იმპერიალისტური ბანაკის დასაყრდენია. იმპერიალისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ვატიკანს, როგორც მოკავშირეს მშვიდობის, სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას მოწმობს, კერძოდ, ის გარემოება, რომ 30-ზე მეტ სახელმწიფოს ვატიკანში ჰყავს დიპლომატიური წარმომადგენელი.

რა აძლევს ვატიკანს იმის შესაძლებლობას, რომ გარკვეული როლი შასრულოს საერთაშორისო ცხოვრებაში?

უწინარეს ყოვლისა ის, რომ იგი არის მთელი კათოლიკური ეკლესიის ცენტრი, ხოლო რომის პაპი მთელი კათოლიკური ეკლესიის მეთაურია.

კათოლიციზმი ერთ-ერთი მიმართულებაა ქრისტიანულ რელიგიაში. სტატისტიკის მონაცემების თანახმად, დედამიწაზე არის 800 მილიონი ქრისტიანი, ამათგან ნახევარზე ცოტა მეტი დაკავშირებულია რომის კათოლიკურ ეკლესიასთან (დანარჩენები ბერძენმართლმადიდებელ და პროტესტანტულ ეკლესიებთან). კათოლიკეთა საერთო რიცხვიდან ნახევარი ცხოვრობს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (იტალია, ავსტრია, ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, ბელგია და სხვ.), აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში — პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვ. სსრ კავშირში კათოლიციზმი გავრცელებულია ლიტვაში, ბელორუსიისა და უკრაინის დასავლეთ ოლქებში. ცოტა როდია კათოლიკეები ამერიკაში (უმთავრესად სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში).

თავისი წყობით კათოლიკური ეკლესია ცენტრალიზებული ორგანიზაციაა. ყველა მისი ეპისკოპოსი, სადაც უნდა ცხოვრობდეს, ცნობს რომის პაპის ხელისუფლებას და ასრულებს მის დირექტივებს არა მარტო წმიდა რელიგიურ საკითხებში.

არასოდეს რელიგიური ორგანიზაციები არ მდგარან კლასობრივი ბრძოლის გარეთ. ისინი, როგორც წესი, მუდამ იყენენ ექსპლოატატორთა მხარეზე ექსპლოატირებულთა წინააღმდეგ. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია იმპერიალიზმის პერიოდისათვის. მონოპოლისტებმა დაიმორჩილეს დიდი რელიგიური ცენტრები—ქრისტიანთა, იუდეველთა, მუსლიმანთა და სხვ., წარმართავენ მათ საქმიანობას თავიანთი ინტერესებისათვის. კაპიტალისტთა წარმომადგენლები და აგენტები არიან ხელმძღვანელ საეკლესიო ორგანოებში და იყენებენ ეკლესიას კაპიტალის ძალაუფლების განსამტკიცებლად. საკმარისია, ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პროტესტანტული ეკლესიების (ამ ეკლესიებს ყველაზე მეტი მიმდევარი ჰყავთ) ერთ-ერთი ხელმძღვანელია ჯონ ფოსტერ დალესი — ამერიკის კაპიტალის ყველაზე აგრესიული წრეების წარმომადგენელი. კათოლიკური ეკლესიის ახლანდელი მეთაური პაპი პიუს XII გამოსულია იტალიელ პანკირის პაჩელის ოჯახიდან.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში რელიგიური ორგანიზაციები თვითონ ფლობენ კაპიტალს და დაინტერესებული არიან მოგების მიღებით. მაგალითად, მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგენდა ოთხ მილიარდ დოლარს, ხოლო მისი წლიური შემოსავალი უდრის 800 მილიონ დოლარს. დიდი კაპიტალები აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებში აგრეთვე პროტესტანტულ და იუდეველთა ეკლესიებს. პრესაში გამოქვეყნებული ცნობებით, თვით ვატიკანის კაპიტალები, რომლებიც დაბანდებულია ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლველო საწარმოებში, შეადგენს 35 მილიარდ ფრანკს, ხოლო ევროპის ქვეყნების მრეწველობაში — 60 მილიარდს. მთელ რიგ ქვეყნებში კათოლიკური ეკლესია მსხვილი მემამულეა. მაგალითად, ესპანეთში მიწის უდიდესი სამფლობელოები ეკლესიის საკუთრებაა.

კაპიტალისადმი რელიგიური ორგანიზაციების დამორჩილებამ და გაბატონებულ ექსპლოატატორულ კლასებთან ეკლესიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა კავშირმა გამოიწვია ის, რომ ორი ბანაკის — მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის, რომელსაც სსრ კავშირი მეთაურობს, და რეაქციისა და ომის ბანაკის, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი კლასები მეთაურობენ, ბრძოლაში კაპიტალისტური ქვეყნების უდიდესი რელიგიური ორგანიზაციები რეაქციისა და ომის ბანაკის მხარეზე არიან. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება კათოლიკური ეკლესიის ცენტრს — ვატიკანს.

ვატიკანის პოლიტიკური კურსი განსაზღვრება მისი სიძულვილით მთელი დემოკრატიული ბანაკისადმი, მოწინავე მეცნიერებისადმი, და კაპიტალისტური წყობილების უთუო მხარდაჭერით. ვატიკანის სახით ექსპლოატატორულ კლასებს ჰყავთ ერთგული დამცველი, რომელიც ღვთის სახელით აცავს მათს პრივილეგიებსა და სიმდიდრეს.

იმპერიალისტები და პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეები ფართოდ იყენებენ კათოლიკურ ეკლესიას, ისევე როგორც სხვა სარწმუნოებათა ეკლესიებს, თავის ბრძოლაში ნშვიდობისა და დემოკრატიის წინააღმდეგ, ხალხთა დამონებისათვის. ამ სამარცხვინო საქმეში ვატიკანი ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებს. 1949 წელს პაპმა პიუს XII-ემ გამოსცა დეკრეტი კომუნისტების წინააღმდეგ: იგი ეკლესიისაგან განკვეთით ემუქრებოდა ყველას, ვინც მხარს უჭერს კომუნისტებს, კითხულობს მათ პრესას, ხმას აძლევს მათ არჩევნებში. მაგრამ პაპის ამ დეკრეტმა ვერ შეაფერხა ის გავლენა, რის იმედიც ჰქონდათ ვატიკანსა და მის ამერიკელ ხელმძღვანელებს. მოვლენებმა ცხადყვეს, რომ ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორიც არის იტალია, საფრანგეთი და სხვები, სადაც კათოლიციზმი ძალიან გავრცელებულია, კომუნისტური პარტიები სარგებლობენ ხალხის ფართო მხარდაჭერით.

ვატიკანის მონაწილეობა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ შეთქმულებებში

კომუნიზმისადმი, ყოველი პროგრესულისადმი სიძულვილი და იმპერიალიზმისადმი ერთგულება განსაზღვრავენ ვატიკანის უაღრესად მტრულ დამოკიდებულებას ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი. ვატიკანი მუდამ მონაწილეობდა და მონაწილეობს იმპერიალისტთა ანტისაბჭოთა შეთქმულებებში ან მხარს უჭერს ამ შეთქმულებებს. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში ვატიკანის აგენტები საბჭოთა ტერიტორიაზე, რომელიც დროებით ოკუპირებული ჰქონდათ ფაშისტ დამპყრობლებს, ჩამოვიდნენ გერმანიის მძარცველური არმიის აღალთა და თანამშრომლობდნენ გესტაპოსთან. ომის წლებში გერმანელ დამპყრობთა მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში — პოლონეთში, უნგრეთში, საფრანგეთში, ბალკანეთში—ვატიკანი და მისი აგენტურა ეხმარებოდნენ ფაშისტ დამპყრობლებს.

ახლა ვატიკანი და მისი კათოლიკური ეკლესია ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში ცილისმწამებლურ კამპანიას ეწევიან ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, რითაც მონაწილეობენ „ცივ ომში“. ვატიკანის მიერ შექმნილ სპეციალურ „ინსტიტუტებში“ წარმოებს ჯაშუშების მომზადება სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში შემოსაგზავნად.

კათოლიკური ეკლესიის მსახურთა სასამართლო პროცესებმა, რომლებიც უკანასკნელ წლებში უნგრეთში, პოლონეთში, რუმინეთში, ჩინეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მოეწყო, დაანახვეს მთელ მსოფლიოს, რომ კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელები ამ ქვეყნებში ვატიკანის დასტურითა და მოწოდებით და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეების პირდაპირი დავალებით არიან ამ ქვეყნების სახალხო-დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ შეთქმულებათა ორგანიზატორები. შეთქმულნი და მათი უცხოელი სულისჩამდგმელნი მიზნად ისახავდნენ აღიდგინათ პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება, წაერთმიათ მშრომელებისათვის მათი მონაპოვარი, გადაეტანათ ეს ქვეყნები იმპერიალისტთა კოლონიებად და ანტისაბჭოთა შეთქმულებების კერებად.

ორ ომს შუა პერიოდში ვატიკანი იყო იტალიის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების ფაშისტურ მთავრობათა მოკავშირე. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ვატიკანი დაეხმარა იტალიელ ფაშისტებს ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება, ხოლო 1933 წელს, როცა გერმანიაში ფაშისტური დიქტატურა დამყარდა, მან პირველმა ცნო ჰიტლერის ფაშისტური მთავრობა და თანამშრომლობდა მასთან ფაშისტური რეჟიმის არსებობას უკანასკნელ დღეებამდე.

მეორე მსოფლიო ომის დამლევისაკენ, როცა ცხადი გახდა, რომ ფაშისტური ღერძის განადგურება გარდუვალია, ვატიკანმა გეზი აიღო ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ კლასებთან კავშირზე და კათოლიკური ეკლესია ჩააყენა მსოფლიო ბატონობის ამერიკელ პრეტენდენტთა სამსახურში.

ვატიკანი ამერიკის იმპერიალიზმის დასაყრდენია

ვატიკანი სოლიდარობას უცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიულ, რეაქციულ პოლიტიკას, რომლის მიზანია ომის მომზადება საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ, და აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ პოლიტიკის განხორციელებაში. ემყარება რა დასავლეთ გერმანიის გავლენიან კათოლიკურ ორგანიზაციებს, იგი აქეზებს გერმანელ რევანშისტებს, რომელთაგან ბევრი კათოლიკურ წრეებს ეკუთვნის. ეს უწინარეს ყოვლისა შეეხება დასავლეთ გერმანიის კანცლერ ადენაუერს. მთელ რიგ მიმართვებში გერმანელი ეპისკოპოსებისა და კათოლიკეებისადმი პაპმა პიუს XII-ემ თავისი სოლიდარობა გამოუცხადა იმ გეგმებს, რასაც ადგენენ გერმანელი რევანშისტები, რომლებიც ოცნებობენ დაიპყრონ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიები.

ვატიკანი რაზმავს მთელ თავის ძალებს, რათა დაეხმაროს ამერიკელ ომის გამჩაღებლებს შეაკოწიწონ ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“ — ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა რეაქციული სამხედრო ალიანსი, ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით, — რომელიც ხელმძღვანელ როლს შეასრულებდა გერმანიის აღორძინებული არმია ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით.

„თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის ყველაზე თავგამოდებული მომხრეა კარდინალი სპელმანი — ამერიკის შეერთებული შტატების კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი მეთაური და ნიუ-იორკის მთავარეპისკოპოსი.

კათოლიკური ეკლესია ვატიკანის მეთაურობით მსოფლიო ბატონობის ამერიკელ პრეტენდენტებთან ერთად გაფფთრებით ილაშქრებს ხალხთა ეროვნული სუვერენიტეტის წინააღმდეგ, იმისათვის, რომ მსოფლიოს ყველა ხალხი დაუმორჩილოს დოლარის ბატონობას.

ვატიკანი ყველგან მჭიდროდ დაკავშირებულია ყველაზე რეაქციულ წრეებთან, ფაშისტებთან. 1953 წლის აგვისტოში მან. დადო კონკორდატი (შეთანხმება) ესპანეთში ფრანკოს ფაშისტურ მთავრობასთან, რითაც კიდევ უფრო განამტკიცა კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი ბურჯი ესპანეთში ფაშისტთა არსებული მჭიდრო ურთიერთობა. ამ კონკორდატს შემთხვევით როდი მოაწერეს ხელი ესპანეთის ფაშისტურ მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის სამხედრო კავშირის დადებამდე ერთი თვით ადრე. იმისათვის, რომ ცხადყოფ თავისი კავშირი ფრანკოსთან, პაპმა პიუს XII-ემ 1953 წლის დეკემბერში ამ ფაშისტს მიართვა საშობაო საჩუქარი — დაჯილდოვა იგი ვატიკანის უმაღლესი ორდენით. ვატიკანს საუკეთესო ურთიერთობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატების ფაშისტურ წრეებთან და კერძოდ მოფაშისტო სენატორ მაკართისთან, რომელიც თვითონ კათოლიკეა.

თავისი რეაქციული პოლიტიკის განხორციელებაში ვატიკანი ეყრდნობა არა მარტო კათოლიკურ ეკლესიას, არამედ აგრეთვე მის მიერ შექმნილ სხვადასხვა ფაშისტურ ორგანიზაციებს. მუშათა მოძრაობის დეზორგანიზაციისა და მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის შესუსტების მიზნით კათოლიკურმა ეკლესიამ ბურჟუაზიის დახმარებით შექმნ

გვირგვინებით შეამკეს დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი

ბუქარესტი, 22 აგვისტო. (საკდესი). რუმინეთის განთავისუფლების მეათე წლისთავის გამო დღეს ბუქარესტში გამარჯვების მოედანზე, სადაც დადგმულია რუმინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი, გამართა საჯარო-სამგლოვიარო მიტინგი. მიტინგს დაესწრნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. გეორგიუ-დეჟი, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე პეტრუ გროზა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. აპოსტოლი და სხვა ოფიციალური პირები.

მიტინგს აგრეთვე დაესწრნენ საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ამხ. ნ. მ. შვერნიკის მეთაურობით, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ლ. გ. მელნიკოვი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ვან იუ-პინი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. კონსტანტინესკუმ და სსრ კავშირის სამხედრო ატაშემ რუმინეთში გენერალ-ლეიტენანტმა დ. ი. სმირნოვმა.

ის ადგილი, სადაც ძეგლი დაიდგმება, შეამკეს გვირგვინებით რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის დელეგაციისა და სსრ კავშირის საელჩოს, შეიარაღებული ძალების სამინისტროსა და დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მეომრების ძეგლ-ანსამბლი.

რუმინელი ხალხი პაგივსა სცემს იმ მეომართა ხსოვნას, რომლებიც დაეცნენ რუმინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში

ბუქარესტი, 22 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბუქარესტში იმ ადგილას, სადაც დაიდგმება რუმინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპულ რუმინელ მეომართა ძეგლი, გამართა საჯარო-სამგლოვიარო მიტინგი. მიტინგს დაესწრნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. გეორგიუ-დეჟი, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე პეტრუ გროზა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. აპოსტოლი და სხვა ოფიციალური პირები.

მიტინგს აგრეთვე დაესწრნენ საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ამხ. ნ. მ. შვერნიკის მეთაურობით, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ლ. გ. მელნიკოვი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ვან იუ-პინი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

ხაღხინ-გოლთან ბრძოლის გმირების ძეგლის გახსნა

ულან-ბატორი, 21 აგვისტო. (საკდესი). გუშინ მდინარე ხალხინ-გოლის ნაპირზე, სადაც 15 წლის წინათ საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის ჯარებმა სასტიკად დამარცხეს იაპონელი აგრესორები, გაიხსნა ძეგლი, რომელიც აგებულ იქნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით.

ძეგლის გახსნაზე ჩავიდნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ცედენბალი, დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე სამბე, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დამბა, დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ცედიბი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ბატა, შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ჟანჩივი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჟარგალსაიხანი. ისტორიული ბრძოლების ადგილას ჩავიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგარეგნო და სრულუფლებიანი ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. პისარევი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ხონ დონ ჩერი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული ჩენ ინი.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დავალებით ცედიბი ხსნის მშრომელთა მიტინგს. სიტყვები წარმოთქვეს სახელმწიფო თავდაცვის მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა ბატამ, ხალხინ-გოლის ბრძოლების მონაწილემ ხალხინ-გოლ-სომონის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა შარაბმა, ტამიგის სახელმწიფო მეურნეობის დირექტორის მოადგილემ დონდოკმა.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნების ხმებში ეხსნება საფარი დიდებულ მონუმენტს — ორი მომძე ხალხის მეგობრობის ძეგლს. წითელ მარმარილოზე მონღოლურ და რუსულ ენებზე ამოკვეთილია სიტყვები:

„სამარადისო დიდება საბჭოთა არმიის გმირ მეომრებს და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური არმიის მამაც ცირკებს, რომლებიც დაეცნენ მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში იაპონელ დამპყრობლებთან ბრძოლებში მშვიდობისმოყვარე მონღოლი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, იმპერიალისტ აგრესორთა წინააღმდეგ“.

მიტინგის დასასრულს ძეგლი შეამკეს გვირგვინებით და მოეწყო მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური არმიის ჯარების პარადი.

გუშინ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა, დიპლომატიური კორპუსის წევრებმა და მონღოლეთის მშრომელებისა და სახალხო-რევოლუციური არმიის წარმომადგენლებმა ინახულეს ხალხინ-გოლთან მომხდარ ბრძოლასთან დაკავშირებული სხვა ისტორიული ადგილები.

ფინეთის მოსახლეობის რაოდენობა

ჰელსინკი, 22 აგვისტო. (საკდესი). ფინეთის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს ცნობით, ფინეთის მოსახლეობის რაოდენობა ამა წლის აღწერით 4.203.689 კაცია.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადავიდა ბონის ბუნდესტაგის დეპუტატი შმიდტ-ვიტმაკი

ბერლინი, 22 აგვისტო. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადმოვიდა ბონის ბუნდესტაგის დეპუტატი შმიდტ-ვიტმაკი.

ცნობაში ნათქვამია, რომ ბუნდესტაგის დეპუტატმა კარლ-ფრანც შმიდტ-ვიტმაკმა მიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას თხოვნით მისცეს მას, ცოლსა და ქალიშვილს თავშესაფრის უფლება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ცნობაში აღნიშნულია, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში თავშესაფრის უფლების გარდა, შმიდტ-ვიტმაკს მიენიჭა პოლიტიკური მოღვაწეობის უფლება.

შმიდტ-ვიტმაკი, როგორც ცნობაშია აღნიშნული, იყო ბუნდესტაგის წევრი ადენაუერის პარტიისაგან — ქრისტიან დემოკრატთა კავშირისაგან, იყო ბუნდესტაგის „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ საკითხთა კომისიისა და ბუნდესტაგის „სრულიად გერმანიის საკითხთა“ კომისიის წევრი, აგრეთვე მთელი რიგი სხვა პოსტები ეკავა ქრისტიან დემოკრატთა კავშირში.

კომუნისტური პარტიის ნიუ-იორკის ორგანიზაციის თავმჯდომარის განცხადება

ვაშინგტონი, 21 აგვისტო. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო კანონპროექტი კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ, კომუნისტური პარტიის ნიუ-იორკის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ჯერისონმა განაცხადა: „კონგრესმა ისტორიის ვითარებაში მიიღო კანონი, რომელიც კრძალავს პოლიტიკურ პარტიას. ასეთი კანონი პირველია ჩვენს ისტორიაში. ეს კანონპროექტი, რომელიც გატარდა კონგრესში განუხილველად, რაიმე მოხსენების წარუდგენლად, აშკარა ანტიკონსტიტუციური, საზოგადოებრივ უფლებათა ჩამორთმევის უსაფუძვლო განაჩენია. იგი სპობს დარაზმულ მუშათა და ყველა იმათ უფლებებს, ვინც არ ეთანხმება მთავრობის პოლიტიკას... ეს მოვლენა ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რამდენად საჭიროა მუშათა და დემოკრატიის სხვა მომხრეთათვის დამოუკიდებელი პოლიტიკური მოქმედება“.

„ყოველ შემთხვევაში, — ხაზგასმით აღნიშნა ჯერისონმა, — კომუნისტური პარტია კვლავ იბრძოლებს თავისი კანონიერი უფლებებისა და დარაზმული მუშების უფლებებისათვის, დარწმუნებული, რომ ამით იგი იცავს ამერიკის საუკეთესო დემოკრატიულ ტრადიციებს“.

საბერძნეთის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ათენი, 21 აგვისტო. (საკდესი). გამოქვეყნდა ტექსტი საბერძნეთის მთავრობის მიმართვისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმის თხოვნით, რომ მომავალი სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნას კვიპროსის საკითხი.

ბირმამ მოითხოვს გომინდანელთა ჯარების საკითხის შეჯანას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის დღის წესრიგში

ლონდონი, 21 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის საგაზეთს კორესპონდენტი რანგუნიდან იუწყება, ბირმამ მოითხოვა, რომ მისი საჩივარი ჩანკაიშელთა ჯარების ბირმის ტერიტორიაზე ყოფნის გამო შეტანილ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალი სესიის დღის წესრიგში.

სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის ბიუროს სესია

პეკინი, 22 აგვისტო. (საკდესი). სინხუას საგაზეთო გადმოგვცემს:

20-22 აგვისტოს მიმდინარეობდა სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სესია. სესიაზე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ჯოუ ენ-ლაიმ.

ფართო განხილვის შემდეგ სესიამ ერთხმად მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა დემოკრატიული პარტიისა და სახალხო ორგანიზაციების ერთობლივი დეკლარაცია ტაივანის განთავისუფლების შესახებ.

„ტაივანი ჩინეთის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია“

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დემოკრატიული პარტიებისა და სახალხო ორგანიზაციების ერთობლივი დეკლარაცია

პეკინი, 23 აგვისტო. (საკდესი). სინხუას საგაზეთო გადმოგვცემს: როგორც უკვე ვიუწყებოდით, სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის ბიუროს სესიამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა, ერთხმად მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა დემოკრატიული პარტიისა და სახალხო ორგანიზაციების ერთობლივი დეკლარაცია ტაივანის განთავისუფლების შესახებ.

განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია:

60 წლის წინათ იაპონიის იმპერიალიზმმა ძალით მოახდინა ტაივანის ოკუპაცია. ჩინელი ხალხი დიდხანს იბრძოდა და, დასასრულ, დიდი გმირობა გამოიჩინა, რომელიც მიღწეულ იქნა იაპონიის აგრესიისადმი წინააღმდეგობის ომში, 1945 წლის 25 ოქტომბერს სამშობლოს დაუბრუნა ჩვენი ტაივანელი თანამემამულენი. ჩინელი ხალხი არავითარ გარემოებაში არ მოითმენს, რომ ჩანკაიშის გამცემლური ხროვას უზურპირებული ჰქონდეს ტაივანისადმი კონტროლი; ჩინელი ხალხი არავითარ გარემოებაში არ მოითმენს, რომ ტაივანი ოკუპირებული იყოს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების მიერ.

ჩან კაი-შის გამცემლური ხროვა, რომელსაც შეერთებული შტატების მთავრობა იცავს, ტაივანზე გაიქცა და გამცემთა თავშესაფრად გადაქცია იგი. ეს გამცემლური ხროვა უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში აძლევდა შეერთებული შტატების მთავრობას ტაივანის უხვ პროდუქციისა და ბუნებრივ სიმდიდრეს, რის ნაცვლად იღებდა შეერთებული შტატების სამხედრო დახმარებას; იგი ცდილობდა ჩაეხშო ტაივანის პატრიოტული მოძრაობა, ხოცავდა ჩვენს პატრიოტულად განწყობილ მოქალაქეებს, იტაცებდა სახალხო სიმდიდრეს, აიძულებდა ჭაბუკებს სახარბაზნე ხორცი ყოფილიყვნენ და სიშინელ სიდატაკესა და ტანჯვას განუმზადებდა ჩვენს ტაივანელ თანამემამულეებს. ეს გამცემლური ხროვა ატყუებს და სდევნის სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ჩინელებს, ექსპლოატაციას უწევს მათს საკუთრებას და ბანდიტთა შეიარაღებულ ძალებში იბრიკნა სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ახალგაზრდა ჩინელებს. ეს გამცემლური ხროვა, ემყარებოდა რა შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სამხედრო-საჰაერო ძალების მფარველობას, თავს ესხმოდა კონტინენტის ახლო მდებარე სანაპირო კუნძულებს; იგი ბომბავდა ჩინეთის სანაპირო ქალაქებს; თავს ესხმოდა ჩინეთისა და ჩინეთთან მოვაჭრე ქვეყნების კუთვნილ სავაჭრო გემებს და ძარცვავდა ამ გემებს; იგი ჩინეთში გზავნიდა საიდუმლო აგენტებს საბოტაჟის მოსაწყობად; ძარცვავდა და ხოცავდა მებადურებს; იგი განუწყვეტლივ ეწეოდა ქანცგამწყვეტ და დამანგრეველ ომს სამშობლოს წინააღმდეგ. უკანასკნელ ხანს ეს გამცემლური ხროვა შემდგომ მაქინაციებს ეწევა იმ მიზნით, რომ „ეგრეთწოდებული ერთიერთუშიშროებისა ორმხრივი ხელშეკრულება“ დადოს შეერთებული შტატების მთავრობასთან, ე. ი. იმ მიზნით, რომ სამხედრო კავშირი დაამყაროს მასთან, ცდილობს რა შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებთან ერთად დაიწყოს შეტევა კონტინენტის წინააღმდეგ და პროვოკაციით გამოიწვიოს ომი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შეერთებული შტატების აგრესიული წრეები მუდამ მტრულად იყვნენ განწყობილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ. 1950 წლის ივნისში შეერთებული შტატების მთავრობამ აგრესიული ომი გაიჩაღა კორეის წინააღმდეგ, გაძლიერა ინტერვენცია ინდოჩინეთის ომში, ამავე დროს ამერიკის მე-7 ფლოტი გაგზავნა ფორმოზის სრუტეში შესაჭერად და მოახდინა ჩინეთის ტერიტორიის — ტაივანის ოკუპაცია. ამრიგად, შეერთებული შტატების მთავრობამ დაარღვია კაიროს და პოტსდამის დეკლარაციები, რომლებითაც აღიარებულია, რომ ტაივანი ჩინეთის ტერიტორიაა; ამ დეკლარაციებს ხელი მოაწერა შეერთებული შტატების მთავრობამ. ახლა კორეის ომი დამთავრდა; ინდოჩინეთში აღდგენილია მშვიდობა; სიერთაშორისო დაძაბულობა თანდათანობით ნელდება. აგრესიული წრეები შეერთებული შტატებისა, რომლებსაც არა სურთ ცნონ თავიანთი დამარცხება, ახალ ნაბიჯებს დგამენ, რათა მხარი დაუჭირონ ჩან კაი-შის გამცემლურ ხროვას, ცდილობენ გააფართოონ შეიარაღებული ინტერვენცია და გაძლიერონ ომის საფრთხე ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ისინი ცდილობენ შეაკოწიწონ ეგრეთწოდებული „თავდაცვითი კავშირი ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიისა“, კავშირი, რომელშიც იქნებიან იაპონიის რეაქციული ძალები, ლი სინ მანის ხროვა და ჩან კაი-შის გამცემლური ხროვა, და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ამ კავშირში შეიყვანონ ინგლისი და აფრანგეთი და წყნარი ოკეანის დასავლეთი ნაწილისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთი ქვეყნები.

ჩინელ ხალხს, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გათავისუფლოს ტაივანი, რათა უზრუნველყოს თავისი სამშობლოს უშიშროება და ტერიტორიული მთლიანობა და დაიცვას მშვიდობა აზიასა და მთელ მსოფლიოში. ტაივანი ჩინეთის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია. ტაივანის განთავისუფლება და ჩან კაი-შის გამცემლური ხროვის ლიკვიდაცია ჩინეთის სუვერენიტეტის განხორციელებაა, ჩინეთის საშინაო საქმეა, ჩინეთისა, რომელიც არ მოითმენს არავითარ ჩარევას რომელმე უცხო სახელმწიფოს მხრივ.

ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

პეკინი, 23 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას საგაზეთო გადმოგვცემს, ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაცია, რომელსაც კ. ეტლი მეთაურობს, გუშინ პეკინს დაბრუნდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში მგზავრობიდან. პეკინს მომავალი დელეგაცია შეჩერდა ტანშანში, სადაც დათვალიერა კაილანის ქვანახშირის მაღაროები.

სპორტის ამბები

საბჭოთა სპორტსმენი ქალების ბრწყინვალე გამარჯვება

ჰაბანა, 22 აგვისტო. (საკდესი). ... ნიჩბოსნობაში ევროპის პირველობაზე შეჯიბრების ფინალში საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა დღეს ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს, დაიკავეს ხუთივე პირველი ადგილი და ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს.

პირველ შეჯიბრებაში (ოთხიანი მესაჭით) გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენების გუნდმა შემდეგი შემადგენლობით: ვალჩუკი, კირსანოვა, ბლაკკო, მოროზოვა, მესაჭე ოგოროდნიკოვა.

მეორე შეჯიბრებაში (ერთეული) გაიმარჯვა ჩუმაკოვამ.

მესამე შეჯიბრებაში (ოთხიანები წყვილად და მესაჭით) გაიმარჯვეს სანინამ, შჩერბაროვამ, ტარსკოვამ, ულოგოვამ, მესაჭე შერემეტიევამ.

მეოთხე შეჯიბრებაში (ორიანები წყვილად და უმესაჭოდ) პირველნი მივიდნენ ფინიშთან ჩაუსოვა და რაკიტსკაია.

მეხუთე შეჯიბრებაში (რვიანები) ფინიშთან პირველნი მივიდნენ ლობნევა, სხორტლაძე, მარტინოვა, კაპილოვა, კონცევაია, სონოვა, სევრუკი და ლუკატინი, მესაჭე ოგოროდნიკოვა.

ყველა საბჭოთა გუნდმა გადაამარცხა ბოსბაანის წინანდელ რეკორდებს. საბჭოთა სპორტსმენებმა სამი დღის შეუპოვარ ბრძოლაში ევროპის უძლიერეს ნიჩბოსნებთან მოიპოვეს ხუთივე გუნდური ოქროს მედალი და 22 პირადი ოქროს მედალი.

ნიჩბოსნთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა მულეგმა გამარჯვებულებს გადასცა ევროპის ჩემპიონების მედლები.

შეჯიბრების შედეგები ქულების მიხედვით: სსრ კავშირი — 42, ჰოლანდია — 25,5, ავსტრია — 12,5, რუმინეთი — 10, დასავლეთ გერმანია — 9,5, ჩეხოსლოვაკია — 8,5.

ფეხბურთი

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

მინსკი, 22 აგვისტო. მინსკის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში მინსკის „სპარტაკის“ გუნდსა და ვარშავის ნაკრებ გუნდს (პოლონეთი) შორის. შეხვედრა ანგარიშით 2:0 მოიგო ვარშავის ნაკრებმა გუნდმა.

სსრ კავშირის პირველობაზე

22 აგვისტოს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში დედაქალაქის „ლოკომოტივის“ და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის. რკინიგზელმა ფეხბურთელებმა შეხვედრა ძლიერად ჩაატარეს და მოიგეს ანგარიშით 6:1.

თბილისის „დინამოს“ გუნდმა დაამთავრა შეხვედრები სსრ კავშირის 1954 წლის პირველობაზე. 24 თამაშიდან მან მოგაროვა 23 ქულა (ბურთების შეფარდებით 38:47). ეს შედეგი მიუწვდომელია, რომ თბილისის „დინამოს“ მაღალტექნიკური გუნდი მთელი თავისი შესაძლებლობით ვერ თამაშობდა.

ამას წინათ „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ იმსჯელა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი მის გასაჯანსაღებლად. საბჭომა სპორტსმენისათვის დაუშვებელი საქციელისათვის ვ. ელოშვილს მიეცა დისკვალიფიკაცია ერთი წლით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის წინაშე აღძრულ იქნა საკითხი მისთვის სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდების მოხსნის შესახებ. უხეშობისათვის სპორტის ოსტატ რ. მახარაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და შ. იამანიძეს მიეცა გაფრთხილება. თბილისის „დინამოს“ გუნდიდან გარიცხული ირიან ვ. სანაია და ა. კილაძე ხელმძღვანელობისადმი სისტემატური დაუმორჩილებლობისა და გუნდის წევრებში დეზორგანიზაციის შეტანისათვის.

გუნდის უფროსი მწვრთნელი ბ. პაიკაძე პირადი თხოვნით განთავისუფლებულია სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო. გუნდის მწვრთნელად დანიშნულია სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. გაგუა.

* * *

ხარკოვი. 23 აგვისტო. ხარკოვის „ავანგარდის“ სტადიონზე მორიგი შეხვედრა გაიმართა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ხარკოვის „ლოკომოტივისა“ და მოსკოვის „ცდსა“-ს გუნდებს შორის. მატჩი მოიგეს ხარკოველებმა ანგარიშით 3:1.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

მეუღლე თამარ ოცხელი, შვილი ნუნუ, დები ნინო, მარო, ნატალია, ძმა ნიკოლოზ, რძლები ნინო კარბელაშვილი და ნინო ტორონჯაძე იუწყებიან **გიორგი პეტრეს-ძე ცაგარლის** გარდაცვალებას. გამოსვენება 24-VIII, 6 ½ ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 24.

მეუღლე მარიამ, შვილები ნინო, ელენე, თამარ, სიძე ვლასი ქურიძე, შვილიშვილები ლამარა, მინდია და ჯიმშერ, ცოლისძმა ივანე ბუხალი იუწყებიან **თეოდორე გაბრიელის-ძე დიდებაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-VIII, 6 ს. თბილისის შესახვ. № 10.

და ოლია, დისწულები ვერა, ვალერიანე ვასაძეები, რძალი ნუნუ, სიძე ვანიჩა ქართველიშვილი ოჯახებით იუწყებიან **ილია სიმონის-ძე ალერწიანის** გარდაცვალებას.

დედა მარიამ, მამა ერმინე, დები ოლია, ელენე, თინა, ძმა ვარამი, სიძეები შალვა ავალიანი, ალექსი გიორგაძე ოჯახებით იუწყებიან **ანა ერმინეს ასულ გვენეტაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VIII სოფ. ქვედა სიმონეთში (ქუთაისის რ.).

მეუღლე ვარლამ, შვილი შურა, შვილიშვილი მანანა იუწყებიან **ანა ესტატეს ასულ ძნელაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-VIII, 8 ს. გამოსვენება 26-VIII, 5 ს. 30 წ. ა.ა. წერეთლის ქ. № 3/5.

შვილები ვლადიმერ, სოსო, სოფიო, ოლია, ვერა, რძლები ლიუდმილა, მარგალიტა, ელენე, ოლია, შვილიშვილები ალირა, გურამ, ჯემალ, ალეკსანდრე, ცისანა, ნანული, მანანა, მარინა ბუაჩიძეები, სიძე გიორგი გუნია იუწყებიან **მარიამ ალექსის ასულ ბუაჩიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VIII, 5 ს. ხარაგოულში.

შვილი ვანო, რძალი მარგალიტა, შვილიშვილები ომარ, ნესტორ, ამირან ჩხატარაიშვილები, და ელენე, ცოლისდა ვარდო გოგოლაშვილი, ნატალია დარახველიძე იუწყებიან **ნესტორ ივანეს-ძე ჩხატარაიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VIII სოფ. შემოქმედში (მახარაძის რ.).

ვატიკანი იმპერიალიზმის სამსახურში

(დასასრული)

პროფკავშირები“, რომლებიც მუშათა კლასობრივ ბრძოლაში შტრეიკბრეხერების როლს ასრულებენ.

კათოლიკური პარტიები პროამერიკული პარტიებია

მთელ რიგ ქვეყნებში ვატიკანის რეაქციული პოლიტიკის გამტარებლები ამჟამად არიან ეგრეთწოდებული „ქრისტიანთა“ ან კათოლიკური პარტიები. იტალიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, ბელგიაში, დასავლეთ გერმანიაში, ჰოლანდიაში, ლუქსემბურგსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში კათოლიკურმა პარტიებმა უკანასკნელ წლებში მმართველი პარტიების მდგომარეობა დაიკავეს. ისინი არიან ძირითადი ბურჟუაზიული, პროამერიკული პარტიები, რომლებიც ახორციელებენ ანტიხალხურ პოლიტიკას, რაც ნაკარნახევია თავიანთი ქვეყნის ბურჟუაზიისა და მემამულეების და ამერიკელი იმპერიალისტების ინტერესებით. კათოლიკური პარტიები გამოდიან „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის და გერმანიის აგრესიული არმიის აღდგენის ყველაზე თავგამოდებულ მომხრეებად.

საფრანგეთში კათოლიკური პარტია „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობა“ ომისშემდგომი წლების მანძილზე ახორციელებს რეაქციულ, ანტიეროვნულ კურსს. „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის“ პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბიდო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნის პერიოდში საგარეო პოლიტიკაში ახორციელებდა ამერიკულ კურსს საფრანგეთის ეროვნული ინტერესების საზიანოდ.

დასავლეთ გერმანიის კათოლიკური პარტია ადენაუერის მეთაურობით არის რევანშისტული პარტია, რაინ-ვესტფალიის მექარხნეთა და ბანკირთა პარტია. გერმანელ და ამერიკელ იმპერიალისტთა კარნახით და მათი აქტიური მხარდაჭერით იგი იბრძვის გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისათვის.

კათოლიკური პარტიების საქმიანობაზე დიდ გავლენას ახდენენ ვატიკანი და კათოლიკე ეპისკოპოსები.

ვატიკანი თავისი სახსრებით ეხმარება იმპერიალისტებს კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში. ვატიკანის ეგრეთწოდებული „მისიონერთა“ ორგანიზაციები (ისევე, როგორც პროტესტანტულ ეკლესიებში), რომლებიც შექმნილია ვითომდა „რელიგიის პროპაგანდისათვის“, ნამდვილად ასრულებენ იმპერიალიზმის ჯაშუშური აგენტურის როლს. ჩინელი ხალხისადმი მტრულ საქმიანობას ეწეოდნენ ამ ბოლო დრომდე მისიონერები ჩინეთში. ძირგამომთხრელ ჯაშუშურ საქმიანობას ეწევიან ახლაც ვატიკანის მისიონერები ინდოეთში და აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნებში. ვატიკანის წარმომადგენლები დაკავშირებული არიან აზიის ბევრი ქვეყნის რეაქციულ ხროვებთან, კერძოდ, ამერიკის იმპერიალიზმის ისეთ დაქირავებულ აგენტთან, როგორიც არის ჩან კაი-ში (რომელთანაც ტაივანზე ვატიკანს ჰყავს თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი).

მიუხედავად კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური მტკიცებისა, რომ მათი მისია განამტკიცოს „მშვიდობა და ძმობა“ ადამიანთა შორის, ვატიკანი, ხოლო მისი დირექტივებით ბევრი ქვეყნის კათოლიკე ეპისკოპოსები თავგამოდებით იბრძვიან მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წინააღმდეგ და იმის წინააღმდეგ, რომ შეგროვდეს ხელმოწერა ატომური იარაღის აკრძალვის სასარგებლოდ. მღვდლებმა, რომლებიც მშვიდობის მომხრეთა მოძრაობას მიემხრნენ, რეპრესიები განიცადეს. მაგალითად, ვატიკანმა ეკლესიისაგან განკვეთა იტალიელი მღვდელი ანდრეა გაჯერო მშვიდობისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის. ატყუებენ რა მორწმუნეებს, კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელები ირწმუნებიან, რომ ისინი თითქოს მშვიდობისათვის „ლოცულობენ“. ნამდვილად ისინი მთლიანად უჭერენ მხარს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიულ, კაცთმოძულეობის პოლიტიკას, წრეების, რომლებიც ახალ მსოფლიო ომს ამზადებენ.

კათოლიციზმის რეაქციული იდეოლოგია

მთლიანად უჭერს რა მხარს იმპერიალიზმს, ვატიკანი ეხმარება ბურჟუაზიას უფრინარეს ყოვლისა იმ სპეციფიკური საშუალებებით, რომლებიც რელიგიურ ორგანიზაციებს აქვთ, ესე იგი თავისი იდეოლოგიური საშუალებებით, რელიგიით. იგი ფართო მასებში პროპაგანდას უწევს ცრუ, რეაქციულ იდეებს იმის შესახებ, რომ კაპიტალისტური წყობილებისა და კაპიტალისტური კერძო საკუთრების არსებობა ღვთის მიერ არის ნაკურთხი. ექსპლოატატორებთან რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის საწინააღმდეგოდ, ბრძოლისა, რომლისკენაც მშრომელებს კომუნისტები მოუწოდებენ, კათოლიკური ეკლესია ქადაგებს „კლასობრივ მშვიდობას“, შრომისა და კაპიტალის თანამშრომლობას. იგი ცდილობს, რომ მშრომელებმა უარი თქვან ბრძოლაზე თავისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, რომ ისინი შეურიგდნენ იმ აუტანელ მდგომარეობას, რასაც მათ განუმზადებს კაპიტალისტური წყობილება.

კათოლიციზმი ნერგავს სწორედ ასეთ რეაქციულ იდეოლოგიას, რომლის მიზანია ჩააბნოს მასებში პროტესტის გრძნობა ექსპლოატატორთა მხრივ ჩაგვრის წინააღმდეგ და შეარიგოს ისინი ჩაგრულ მდგომარეობასთან, რომელშიც იმყოფებიან. კათოლიციზმი (როგორც ყველა რელიგია) ხალისით ჰპირდება მშრომელებს „ცათა სასუფეველს“, მაგრამ მოითხოვს მათგან, რომ ისინი არ იბრძოდნენ უკეთესი ცხოვრებისათვის დედამიწაზე.

ვატიკანი მოწინავე მეცნიერების მტერია. კათოლიკე პროპაგანდისტები ეკლესიის პირდაპირი დავალებით ცდილობენ „უარყონ“ მატერიალიზმი და წერენ ცილისმწამებლური წიგნებს კომუნიზმისა და კომუნისტური ფილოსოფიის შესახებ. ვატიკანი მოითხოვს კათოლიკე მეცნიერთაგან, რომ ისინი თავიანთ ნაშრომებში ემყარებოდ